სპორტიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 9 აგვისტო 2003 №148 (1919) | ფასი 50 თეთრი

შარშანაც ასე იყო: „ლოკომოტივ“ — „დილას“ საჩიფათო ეპიზოდები არ აკლდა

პაპაცარი აბულაძის ფოტო

არ დაიზარო, არ ინანებ!

ბოდმა ძალაა

„ლოკომოტივი“ — „დილა“... ხვალ თუ ვაკეში მისვლას არ დაიზარებთ, ვინძლო, სეირიც იხილოთ. ალბათ იტყვით, რა სასეირო სანახავი საქართველოს ჩემპიონატის რიგითი მატჩიაო და ამის მთქმელს ვინ გაგამტყუნებთ, მაგრამ...

„ლოკომოტივიდან“ აკაკი ჩხაიძის მიერ დათხოვნილ ფეხბურთელებზე, რა თქმა უნდა, გსმენიათ. ჰოდა, რკინიგზელთა კაპიტანყოფილი გიორგი ბალაშვილი, ალეკო კაიდარაშვილი, ზაზა ლაცაბიძე და მერაბ ძოძუაშვილი ახლა „დილაში“ არიან და, უეჭველია, ჟინმოძალებულები ფიცხელ ბრძოლას გაუმართავენ რევაზ არველაძის ჯერაც აუწყობელ და დაულაგებელ გუნდს.

სხვა რა? ფოთში „კოლხეთი“ — „დინამოა“, ერთ დროს მართლაც გამორჩეული დაპირისპირება.

დღეს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური იწყება...



ქართველთა სქოთური ვნებანი

ზურაბ ხიზანიშვილი: გლაზგოს ქუჩებში „სელტიკის“ ტრადიციული ფერების ტანსაცმელს ვერ ჩავიცმევ. მოვა „რეინჯერსის“ ფანი და შენიშვნას მოგცემს

გიორგი ნემსაძე: ეს გვინდოდა?!

მტრისას, დანდის ახალი დირექტორი!





ჯოვანი დი სტეფანო

დიდებული გვარი, საშინელი ბიოგრაფია: ოსამა ბინ ლადენთან და საადამ ჰუსეინთან კავშირის მქონე, ხორვატმმუსვრელი არკანის მეგობარი

სენსაციური აბრამოვიჩით ამღვრეული ინგლისური სეზონი დღეს იწყება: ქარდიფში ჩარითი შილდია

არსენალი VS მანჩესტერი

ლადო ბურდული: ახლა წასვლის დროა

ღონივრად დაიწყო მე-15 ეროვნული თბილისის „დინამომ“, მაგრამ ალბანურ „ტირანასთან“ მარცხი ჯერაც წარუშლელია...

„დინამოს“ ავან-ჩავანი ვინძლო ერთი საგაზეთო წერილში ვერც ჩაეტიოს, მაგრამ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის აზრები და საუბარი უდავოდ საინტერესოა...

ლადო ბურდული ეროვნული ნაკრების წევრიცაა. ივო შუშაკი „დინამოში“ მოსვლის დღიდან სულ იმას ამბობს, ლადო ახლა აფეთქდება, ლადო მერე აფეთქდება, მაგრამ ბურდულისგან ჩვენ კვლავაც გაცილებით მეტს ველით...

მოკლედ, ლადოსთან საუბარი „ტირანათი“ დავიწყეთ...

ლადო ბურდულმა დრიბლინგიც იცის და პასის ფასიც

— „ტირანამდე“ არ მომხდარა, რომ „დინამოს“ თოთხმეტივე ფეხბურთელს არ წასვლოდეს თამაში, ალბანელებმა გვაჯობეს და მოგვიგეს, მაგრამ რატომ მოხდა ასე, ახლაც ვერ გეტყვით. ვერც სიცხეს დავაბრალებ ამას — მაღალ ტემპში არც ალბანელებს უთამაშიათ.

— ამ ევროტურნირისთვის მთელი სეზონი ემზადებოდით...

— ასეა, მთელი წელი იმის სტიმული გვქონდა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრისთვის ვიბრძოლებდით და თუ ეს არ გამოგვივიდოდა, უეფას თასზე გავაგრძელებდით თამაშს. ერთი სიტყვით, ძალიან გულდასაწყვეტია, რაც მოხდა.

— „ტირანასთან“ თბილისური მატჩი 3:0 მოიგეთ, მაგრამ მეტოქემ რამდენიმე საგოლე მომენტი გააცუდა. ალბათ, ყველაფერი ალბანეთში გამართულმა შეხვედრამ არ გადაწყვიტა.

— მომენტები ალბანელებს თბილისში კი ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ტირანაში ნაღდი გოლი გავიტანეთ და არ ჩაგვითვალეს — ეს ერთადერთი იყო, რისი გაკეთებაც ტირანაში მოვახერხეთ, თორემ „ტირანას“ იქ ასპროცენტიანი უპირატესობა ჰქონდა. როცა ღამე დასაძინებლად ეწვები, სულ იმ თამაშზე ვფიქრობ. ტირანაში წაგების შემდეგ მირჩევნოდა, თბილისში აღარ ჩამოვსულიყავი, ჩემი თავის მრცხვენოდა.

— ფაქტია, ივო შუშაკი თავისებური სტილით ათამაშებს „დინამოს“ — ნაკლებია იმპროვიზაცია, ფეხბურთელების ინდივიდუალიზმი, შეტევას აკლია სიბასრე, ფეხბურთელებს, ერთი წლის წინ პერსპექტიულებად რომ ითვლებოდნენ და ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშეს, წინსვლა არა აქვთ, გუნდი ერთფეროვან ფეხბურთს თამაშობს...

— შეკითხვის არსი გასაგებია, მაგრამ იმიტომ ვერ ვუმატებთ, რომ ჩვეულებრივ ფეხბურთს ვთამაშობთ. ყველა დამეთანხმება, რომ საქართველოში ერთი თავით მაღლა ვდგევართ ბევრზე. მე ვერ დავიწყებ იმის ახსნას, თუ რა ფეხბურთს თამაშობს „დინამო“ — ერთფეროვანს თუ მრავალფეროვანს. მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ჩვენ უმეტესწილად კონტრშეტევაზე ვაგებთ თამაშს.

— ასეთი თამაში საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „დინამოს“ წინა სეზონში დუბლი მოეპოვებინა, თუმც მეორე ეტაპზე ორჯერ დამარცხდა „ტორპედოსთან“...

— ქუთაისელებმა ორჯერ კი მოგვიგეს, მაგრამ „ლოკომოტივს“ ოთხიდან ოთხი თამაში მოვუგეთ სათასო შეხვედრების ჩათვლით.

— „დინამოში“ ჯერ კიდევ იმ დროიდან თამაშობდი, როცა გუნდს დავით ყიფიანი წვრთნიდა. როგორ შეადარებდი ყიფიანის და შუშაკის „დინამოს“ სათამაშო კონცეფციებს?

— ყიფიანის დროს „დინამო“ შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. მაგრამ მაშინ „დინამო“ დანარჩენ ქართულ გუნდებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ როცა მინდორზე გავიდოდით, თითქოს უკვე 2:0-ს ვიგებდით. ახლა კი მარტო „დინამოს“ როდი ჰყავს კარგი ფეხბურთელები. ისე, „დინამო“ ადრეც აგებდა დიდი ანგარიშით ევროტურნირებზე.

— კარგი ფეხბურთელები სხვა ქართულ კლუბებს მართლაც ჰყავთ და თუ ეთანხმები იმ აზრს, რომ „დინამომ“ ჩემპიონობა პირველ რიგში მკაცრი სათამაშო დისციპლინის ხარჯზე მოიპოვა?

— გეთანხმებით. ბატონმა ივომ ისე დააყენა საქმე, რომ ჩვენს ჩემპიონობაში ამ ფაქტორმა მთავარი როლი ითამაშა.

— მაგრამ კმარა კი მხოლოდ მკაცრი სათამაშო დისციპლინა ევროტურნირებისთვის?

— როცა ეროვნულ ჩემპიონატში ხშირად ამარცხებ მეტოქეებს დიდი ანგარიშით, მერე ძალიან ძნელია ევროპაზე გადაერთო.

— კონკრეტულად ლადო ბურდულზე ვთქვათ — რატომ ვერ ბრწყინავს ეს ფეხბურთელი ისე, როგორც ამას მისგან ველოდით?

— როცა „დინამოში“ შუშაკი მოვიდა, აქცენტი უფრო გუნდურ თამაშზე გაკეთდა. არ არის იმის მცდელობა, რომ მხოლოდ ერთი კაცი გამოჩნდეს. შემიძლია გავიქცე, ვიდრიბლინგო და იქნებ ეს თხუთმეტიდან თხუთმეტჯერვე გამომივიდეს, მაგრამ მიჯობს ერთი სწორი პასი შევასრულო, რომელიც გუნდს წაადგება ანუ ნაკლებად გამოვჩნდე და გუნდს გამოვადგე. ვფიქრობ, დროა, რომ ის ფეხბურთელები, რომლებმაც უკვე წარმოაჩინეს თავი „დინამოში“, უცხოეთში წავიდნენ.

— მერედა, როგორ ფიქრობ, უცხოეთში ინდივიდუალიზმი არ ფასობს?

— როგორ არ ფასობს, მაგრამ პირველ რიგში გუნდის ინტერესებია მთავარი. ისე, შუშაკთან ბევრჯერ გვისაუბრია ამაზე.

— მოკლედ, „დინამოდან“ წასვლას აპირებ?

— ამის შესახებ უკვე ველაპარაკე კლუბის ხელმძღვანელობას. თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ აქედან გაქცევაზე მიჭირავს თვალი. უბრალოდ, თუ რამე ვარიანტი გამოჩნდა, ხელს არ შემიშლიან. ადრე არ მიშვებდნენ, მაგრამ „ტირანას“ მერე ვითარება შეიცვალა.

— ეროვნული ნაკრების წევრი ხარ და გუნდში მომხდარ საკადრო ცვლილებებზე რას იტყოდი?

— მოხარული ვიქნებოდი, შუშაკი ნაკრებში დარჩენილიყო. რაც შეეხება ნაკრების ახალ მწვრთნელს, როგორც პრესიდან შევიტყვე, მერაბ ჟორდანია დროებით უხელმძღვანელებს გუნდს და თუ მერე უცხოელი სპეციალისტი დაინიშნება, ამას რა სჯობს.

— დაბოლოს, „დინამოს“ ჩემპიონობა წინა სეზონთან შედარებით უფრო გაუადვილდება თუ პირიქით?

— ვფიქრობ, ეს ამ სეზონში უფრო ადვილი იქნება. „დინამო“ საამსეზონოდ კიდევ უფრო გაძლიერდა.

დავით თავართქილაძე

ლესტერი — ბარსელონა. კარლეს პუიოლს ფეხებში იქით ჩაუვარდნენ

REUTERS ლესტერიდან

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
II ტური

ტრირი 2:1 აუე
რეგენსბურგი 0:0 ფიურტი
ლიუბეკი 0:0 არმინია

საამრეთო რეგიონალლიგა
II ტური

შვაინფურტი 0:2 ბაიერნი (მ)
პფულენდორფი 0:2 ეზგორნი
ჰოფენჰაიმი 1:0 ელვერსბერგი
ერფურტი 2:1 ზიგენი

საფრანგეთი

I დივიზიონი, II ტური

მარსელი 1:0 ოსერი

ბელგია

იუპილერლიგა, I ტური

ბრიუგე 1:0 გენკი

თურქეთი

სუპერლიგა
I ტური

სამსუნი 1:3 ბეშიქთაში

უნგრეთი

I ლიგა, III ტური

ბალატონი 2:0 ჰალადაში

შვეიცარია

სუპერლიგა V ტური

გრასჰოპერი 1:1 სერვეტი
ცსამაცსი 2:1 ციურიხი

ჩემპიონლიგა IV ტური

ბულე 1:3 ბადენი
ბელინცონა 0:2 შო დე ფონი
კიასო 0:2 ლუცერნი
კრინსი 1:1 ანიო
შაფჰაუზენი 2:1 ვადუცი
კონკორდია 1:4 ვინტერთური
დელემონი 1:1 ვოლენი
მეირინი 3:0 ივერდონი

ხორვატია

III ტური

ჰაიდუკი 1:4 ინკერი

პოლონეთი

I ლიგა, I ტური

კატოვიცე 0:4 გროცლინი

სლოვენია

IV ტური

ნოვა გორიცა 5:0 ლიუბლიანა

ამხანაგური მატჩი

ლესტერი 0:1 ბარსელონა

სვეტი

ბორას ტელეფონი

(ზღაპარი)

ეს წერილი მინდოდა ასე დამეწყო:

„გამარჯობა, ძვირფასო ძია ბორა!

გწერს შენი სამწვრთნელო ნიჭის თაყვანისმცემელი და მოიმედე ესა და ესა. მე ვცხოვრობ საქართველოში და ძალიან მიყვარს ფეხბურთი და მინდა, რომ ჩემი ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეს.

როგორც ვატყობ, ამ საქმის მოხერხება თქვენზე უკეთ არავის შეუძლია...“ და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ წერილი აღარ მიმიწერია, ვინაიდან ველიბორ მილუტინოვიჩის ტელეფონის ნომერი გავიგე. კეთილ ხალხს რა დალევს ქვეყანაზე, ბოლოს და ბოლოს, მეგაზეთე ხარ და საჭირო კაცის მობილური კი უნდა იცოდე.

ეს ნომერი რომ მოვიგე ხელთ, ყოველად თაღლითური, მაგრამ იმავდროულად ალალი გეგმა შევიმუშავე: ბორა მილუტინოვიჩს დავურეკავდი და ქართული ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლად ვაცნობდი თავს, ვეტყოდი, რომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელად მისი დანიშვნა გვწადია და ხელფასზე გავუბამდი ლაპარაკს. არ ვიცი, თანხმა იქნებოდა თუ არა, მაგრამ მე ყოველგვარი სალაპარაკო ხერხით ვეცდებოდი, რომ პრინციპში ყაბული ეთქვა. საფაქსო მიმოწერის გაბმასაც მოვახერხებდი, ფაქსი დაილია ქვეყანაზე? ფედერაციის ლოგოთი აღბეჭდილი ქაღალდების შოვნა-გაკეთებას რაღა უნდა? კომპიუტერი ამისთვის მოუგონიათ.

მოკლედ, დათანხმდებოდა. მერე ბილეთის და სამოიდე დღით „მეტეხში“ გასაჩერებელ ფულს ვიშოვნიდი, სასტუმროს დავჯავშნიდი და ბორას თბილისისკენ მომფრინავ ბილეთს ავიღებდი. აეროპორტში ბიჭებს დავახვედრებდი, ათიოდე ჰალსტუხის შოვნა რა გახდა?! თანაც, ბორა არ არის ისეთი კაცი, ჰალსტუხებს გამოეკიდოს. საღამოს პრესკონფერენციას გავმართავდი პირდაპირ ეთერში და ყველა ტელეარხზე ვიტყოდი, აი, ჩვენი ნაკრების ახალი მწვრთნელი-მეთქი.

ამას, ცხადია, ფედერაციაც შეიტყობდა და ატყდებოდა ერთი ამბავი, თაღლითი დაიჭირეთო. მაგრამ სასტუმროსთან უკვე გულშემატკივრების მრავალათასიანი მიტინგი იქნებოდა და ვერ დამიჭერდნენ. ნამგზავრ ბორას ნომერში გავისტუმრებდი და ფედერაციასთან მოლაპარაკებას დავიწყებდი, რაც, ცხადია, წარმატებით დასრულდებოდა, ვინაიდან გულშემატკივართა ლაშქართან ერთად, კამერების წინ მოვითხოვდი მის დანიშვნას. ეს მოლაპარაკება იმისთვის დამჭირდებოდა, რომ ბორას ხელფასი მიეღო.

აბა, მე იმდენი ფული სადა მაქვს, იმის ხელობას გაწვდეს?

დიდი თაღლითობა იქნებოდა, დაახლოებით ისეთი, „ოპერაცია წმინდა იანუარიუსში“ რომ არის.

მთელი ივლისი ვრეკავდი, მაგრამ მილუტინოვიჩი არ პასუხობდა. იქაური კაცია, დახედავდა მობილურის ეკრანს და უცნობ ნომერს არ გამოეხმაურებოდა.

ამასობაში კი შევიტყვე, რომ ძია ბორა, მსოფლიო ფეხბურთის დიდი ხეტიალა ჰონდურასის ნაკრების მწვრთნელად დაუნიშნავთ. ალბათ, ნაცნობი ნომრიდან დაურეკეს.

ბედი არ გინდა?

გორში ხელმოცარული ლაშა ნოზაძის (№9) „ვიტ ჯორჯია" „ბათუმთან" ფავორიტია

ერთი-ორს არა უშავს

ფსიქოთერაპია ლოკომოტივაციით

მეთხუთმეტე ეროვნულის კალენდრის შედგენისას ჩვენმა ფედერაციამ თადარიგი დაიჭირა. აქაოდა, საჩემპიონთალიგო ჩემპიონი გვყავს, უეფას თასზეც ერთი-ორი ეტაპის გავლის შანსი აქვთ ჩვენებს, ფორმაში შესასვლელად დრო სჭირდებათო და ჩემპიონატი ამიტომაც დაიწყო უჩვეულოდ ადრე, ივლისში. ამგვარ რამეს იმ საფეხბურთო ქვეყნებში აკეთებენ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე რომ უწევთ გამოსვლა. ამგვარი მიზეზით საქართველოს ჩემპიონატის გადმოწევა კარგა ხანს სასაცილოდ გამოჩნდება, თუმც დღეს ის მიზეზიც ფუჭია, რისთვისაც ივლისიდან იხვითქებიან გუნდები ქართულ სტადიონებზე. „დინამოს" ჩემპიონთა ლიგაზე გასვლამ ჩაილურის წყალი დალია და ჯერაც არ დაწყებულ უეფას თასს შემორჩენილ ქართულ დუეტს რა ბედიც ელის, ადვილი მისახვედრია.

შარშან, 9 აგვისტოს საერთოდ არ იყო ჩემპიონატი დაწყებული, ახლა კი უკვე მესამე ტური მოგვდგომია კარს. განსაკუთრებული ინტრიგა არც ერთ მატჩს არ ახლავს, თუმც ამ ტურში ერთი-ორი ისეთი წყვილია, ინტერესით ნახავდა კაცი.

ტური კვლავაც სამ დღეს გაიწელება და მიზეზი უსტადიონობაა. სანამ „თბილისის" მესვეურები ავლაბრულ მწვანეს გააშენებენ, „ვიტ ჯორჯიასთან" არიან შეამხანაგებულნი ნავთლუღურ „შევარდენზე". ამიტომაც „თბილისი" შაბათს ითამაშებს, „ვიტ ჯორჯია" — ორშაბათს. ამგვარი „ამხანაგობა" აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება, მერე კი ავლაბრული „ისანი" იმ კონდიციამდე მივა, იქ თამაში შესაძლებელი გახდება. ჰოდა, „შევარდენსაც" მხოლოდ „ვიტ ჯორჯია" შემორჩება.

ტექნიკურ „თბილისს" ჩაუქი „სიონი" ჰყავს მეტოქედ და დიდი ბრძოლაც ელის. დედაქალაქელები წკაპუნ-წკაპუნით სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ „სიონი" თავადაც გამეცადინებულია ბურთის ეფექტურად გორებაში და წესით, დაძაბული მატჩი უნდა გამოდგეს. ბოლნისელებს „პუხოვთან" მატჩის წინ ბოლო რეპეტიცია აქვთ და რაც შეუძლიათ, ყველაფრის გაკეთებას შეეცდებიან.

თემურ მახარაძის გუნდს უდანაკარგო მასპინძლებთან ირემაშვილი არ ეყოლება. ამ ფეხბურთელს მუხლის მყესები აქვს დაზიანებული და ამ მიზეზით სლოვაკეთშიც ვერ გაჰყვება „სიონს".

ომამდე რომ ბრძოლას წააგებ, ისეთ სიტუაციაში არიან ქუთაისელები. „ტორპედოს" ფრანგულ „ლანსთან" რომ არანაირი შანსი არა აქვს, თავად გუნდის ფეხბურთელებმაც კარგად უწყიან. ასეთ ვითარებაში რიონისპირელთა საუეფასთასო სამზადისზე ლაპარაკიც ზედმეტია. ფრუიძის გუნდი იმედგაცრუებული გაბრუნდა ერთი კვირის წინ თბილისიდან. წაგებაცაა და წაგებაც. „დინამოსთან" ვიცე-ჩემპიონი უილაჯოდ გაისარჯა და გუნება-განწყობის გამოსასწორებლად დღეს კანფეტივით მეტოქე ჰყავს. დებიუტანტი „სპარტაკი" აუტსაიდერობისთვის არ გვემეტება, მაგრამ წინა ორი ტური საპირისპიროზე მეტყველებს. ორი წაგება, არც ერთი გატანილი და ცხრა გაშვებული გოლი — ასეთია ჯერჯერობით „სპარტაკის" მარაგი.

„მერცხალის" საამსეზონო შანსი შინ დაგროვილი ქულებია. სერგი გაბელაიას გუნდი ფიზიკურად სრულყოფილად არ არის მზად, ფეხბურთელებს უჭირთ ორი თანაბარი ტაიმის ჩატარება და დღეს „ლოკომოტივის" მომნელებელ „მცხეთასთან" ამიტომაც ელით რთული მატჩი.

დღის და ტურის უმთავრესი მატჩი ფოთში გაიმართება. ახალი ცოცხივით გაამართლა სოსო ფილიას შემცვლელმა ჯუნგლი ტყებუჩავამ, მაგრამ მას და „კოლხეთს" დიდი გამოცდა ელით ჩემპიონთან ბრძოლაში. „დინამო" ტირანული კოშმარის დავიწყებას მორიგი გამარჯვებით შეეცდება, თუმც ამ ჩემპიონატში პირველად გადიან შუშაკელები თბილისს გარეთ და ვნახოთ, რა ხასიათზე შეხვდებიან „კოლხებს".

ხვალ „ლოკომოტივი" — „დილაა", ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი რევაზ არველაძისთვის. ორი ტურის შემდეგ ჩემპიონატში სამი გუნდია მოუგებელი და ამათ შორისაა „ლოკომოტივი". კლუბის ამბიციურ მესვეურებს შედეგი უნდათ, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს. ორი მატჩის ფონზე გუნდის პოტენციალზე მსჯელობა ეგებ ნაადრევიც იყოს, მაგრამ იმ ორმა თამაშმა კარგად აჩვენა, რომ „ლოკომოტივს" ძალიან ბევრი რამ აკლია ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ამიტომაც ხვალ წაფორხილება ეგებ ძვირადაც დაუჯდეთ თბილისელებს. არადა, კერკეტი კაკალი ჰყავთ მეტოქედ. „დილას" გოლი ჯერაც არ გაუშვია და წინა ტურში ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ვიტ ჯორჯიას" წამქცევი ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი განსაკუთრებით სახიფათოა კონტრშეტევებზე თამაშისას და შემსრულებელიც ჰყავს ვეტერინართათვის დუბლის გამტან მერაბ ძოძუაშვილის სახით. რკინიგზელთა თხოვნით, „ლოკომოტივი" — „დილა" 19 საათზე დაიწყება, დისკვალიფიცირებული როინ ონიანი კი მატჩს ტრიბუნიდან თუ მიადევნებს თვალს.

ორშაბათი მძიმე დღეა და ეგებ საამტურო ბოლო მატჩიც მძიმე სანახავი გამოდგეს. თუმცა, მასპინძელ ვიტჯორჯიელებს შესუსტებული „ბათუმის" დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

ბაატა ძვანტალიანი

საქართველოს ჩემპიონატი 15 უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი

3 ტური

ქუთაისი. 9 აგვისტო. 18 საათი. ტორპედო

ტორპედო — სპარტაკი

მსაჯები: მ. მაისურაძე; გ. კადაგორია, კ. თბილელი (სამივე თბილისი); გ. ასკაროვლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: ნ. კაკულია

ფოთი. 9 აგვისტო. 18 საათი. ფაზისი

კოლხეთი — დინამო

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

ოზურგეთი. 9 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური

მერცხალი — მცხეთა

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: რ. შოთაძე

თბილისი. 9 აგვისტო. 18 საათი. შევარდენი

თბილისი — სიონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: ვ. კოპალეიშვილი

თბილისი. 10 აგვისტო. 19 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — დილა

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ი. აფციაური (დუშეთი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: ა. გრეკოვი

თბილისი. 11 აგვისტო. 18. საათი. შევარდენი

ვიტ ჯორჯია — ბათუმი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი; ი. კახიანი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: რ. შენგელია



როინ ონიანი თავისიანების თამაშს შორიდან უყურებს

„ლოკომოტივთან" „დილას" იმედი ეჭსრკინიგზელი მერაბ ძოძუაშვილია

ბომბარდირები

5 - ახალაია — დინამო

2 - გაბისკირია — სიონი
გოგობერიშვილი — დინამო
გოცირიძე — ვიტ ჯორჯია
ვ. გოჩაშვილი — ვიტ ჯორჯია
ძოძუაშვილი — დილა

		სულ							შინ							სტუმრად						
№	გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	დინამო	2	2	0	0	9:0	9	6	2	2	0	0	9:0	9	6	0	0	0	0	0:0	0	0
2	სიონი	2	1	1	0	5:2	3	4	1	1	0	0	4:1	3	3	1	0	1	0	1:1	0	1
3	დილა	2	1	1	0	3:0	3	4	1	1	0	0	3:0	3	3	1	0	1	0	0:0	0	1
4	კოლხეთი	2	1	1	0	1:0	1	4	1	0	1	0	0:0	0	1	1	1	0	0	1:0	1	3
5	ვიტ ჯორჯია	2	1	0	1	7:3	4	3	1	1	0	0	7:0	7	3	1	0	0	1	0:3	-3	0
6	თბილისი	2	1	0	1	4:2	2	3	0	0	0	0	0:0	0	0	2	1	0	1	4:2	2	3
7	ტორპედო	2	1	0	1	2:3	-1	3	1	1	0	0	2:0	2	3	1	0	0	1	0:3	-3	0
8	მერცხალი	2	1	0	1	3:5	-2	3	1	1	0	0	2:1	1	3	1	0	0	1	1:4	-3	0
9	მცხეთა	2	1	0	1	2:8	-6	3	1	1	0	0	2:1	1	3	1	0	0	1	0:7	-7	0
10	ლოკომოტივი	2	0	1	1	2:3	-1	1	1	0	1	0	1:1	0	1	1	0	0	1	1:2	-1	0
11	ბათუმი	2	0	0	2	0:3	-3	0	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	0:2	-2	0
12	სპარტაკი	2	0	0	2	0:9	-9	0	1	0	0	1	0:3	-3	0	1	0	0	1	0:6	-6	0

შოტლანდია

დავით თავართქილაძე

ქართველთა სქოთური ვნებანი

ხიზანიშვილი: მწვანეს ველარ ჩავიცმევ! ნემსაძე: ეს გვინდოდა ახლა ჩვენ?!

დღეს შოტლანდიური პრემიერლიგა იწყება, სადაც ქართველებიც გააგორებენ ბურთს. წინა სეზონის აღმოჩენა, ასოციაციის თასის ფინალისტი „დანდი“ „მოზერუელს“ ესტუმრება, ხოლო „რეინჯერსი“ „კილმარნოკს“ დაუხვდება.

დანდელი გიორგი ნემსაძე და რეინჯერსელი ზურაბ ხიზანიშვილი ჯანზე არიან. კიდევ ერთი ქართველი აიბროქსელი შოთა არველაძე კი დაშავებულია და ჯერ ოდენ მსუბუქად, ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

მაშ ასე, ხიზანიშვილი და ნემსაძე რეინჯერსულ-დანდურ ამბებზე

ზურაბ ხიზანიშვილის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე ერთად პირველად იწყებენ რეინჯერსულ სეზონს

გიორგი ნემსაძის ფოტო

გიორგი ნემსაძე

ზურაბ ხიზანიშვილი

— ალექს მაკლიშმა საკილმარნოკო შემადგენლობა უკვე გამოაცხადა. მე დაცვაში მომიწევს თამაში.

— ეს შენთვის პირველი რეინჯერსული თამაშია — ნერვიულობ?

— არა, ნერვიულობა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ახალი გუნდი, ახალი სიტუაცია თავისას შვრება და ეს ფსიქოლოგიურად ცოტა არ იყოს, მართლა მოქმედებს ჩემზე.

— როცა შენი „რეინჯერსში“ გადასვლა გადაწყდა, ითქვა, რომ მაკლიშს საყრდენ ნახევარმცველად უნდიხარ, ახლა კი დაცვაში გაგამწესა...

— დაცვაში რაღაც პრობლემები გვაქვს და მწვრთნელმაც ამიტომ გადაწყვიტა ასე. ცოტა ხანში კი ნახევარდაცვაში ვითამაშებ.

— „რეინჯერსიდან“ 34 წლის იტალიელი მცველი ლორენცო ამორუზო წავიდა. გუნდი დატოვა გამოცდილმა ჰოლანდიელმა მცველმა არტურ ნუმანმაც. ვინ არის ახლა რეინჯერსული დაცვის ბურჯი?

— ასეთი ალბათ კრეიგ მურია. კარგი მცველია მორის როსიც. „რეინჯერსმა“ ახალი მცველებიც დაამატა — პაოლო ვანილი „პარმადან“ და ჰენინგ ბერგი „ბლექბერნიდან“.

— როგორ ფიქრობ, ფეხბურთელების წასვლა-მოსვლით „რეინჯერსი“ წინა სეზონთან შედარებით გაძლიერდა თუ ტრანსფერებს დიდი გავლენა არ მოუხდენია გუნდზე?

— ამორუზო, ნუმანი და კლაუდიო კანიჯა დიდი ძალა იყო „რეინჯერსისთვის“, მაგრამ დანაკლისის შესავსებად გუნდმა რამდენიმე ახალი მოთამაშე აიყვანა და არ არის გამორიცხული, კიდევ დიმატოს ვინმე ვფიქრობ, ამ ფეხბურთელების წასვლა „რეინჯერსს“ დიდად არ დაეტყობა. „რეინჯერსში“ კონკრეტულად ერთ ფეხბურთელზე არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული — დიდ გუნდებში ასე არ ხდება.

— შოტლანდიის ჩემპიონობისთვის, რა თქმა უნდა, კვლავაც ორი გუნდი იბრძოლებს — „რეინჯერსი“ და „სელტიკი“. ჩემპიონთა ლიგაზე კი „რეინჯერსი“ ჯერ უნდა მოხვდეს — რამდენიმე დღეში „კოპენჰაგენთან“ პირველი მატჩი გელით...

— ამ სეზონში ჩვენი მიზანი შოტლანდიის ჩემპიონობის გარდა ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული თამაშიცაა. „კოპენჰაგენის“ თამაშის სანახავად მაკლიშის თანაშემწე იყო წასული. ფეხბურთელებს ფირი არ გვინახავს, მაგრამ როგორც ვიცით, „კოპენჰაგენი“ კარგი გუნდია, რომელიც უფრო ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს.

— უკვე რეინჯერსელი ხარ და „რეინჯერს“ — „სელტიკის“ დაპირისპირებას რა თვალით, რა საზომით უყურებ?

— როცა დანდელი ვიყავი და „სელტიკს“ ვეთამაშებოდით, სულ დიდი ზეწოლის ქვეშ ვიყავით. ახლა კი ასე აღარ იქნება, სულ სხვა გრძნობა მეუფლება „სელტიკის“ ხსენებაზე. როცა გლაზგოს ქუჩებში გავალ, შესაძლოა, „სელტიკის“ ტრადიციული ფერების ტანსაცმელი ვერ ჩავიცვა. ყოველ შემთხვევაში, ამას უნდა მოერიდო, რადგან ყველაფერ ამას ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, შესაძლოა „რეინჯერსის“ გულშემატკივარი მოგიახლოვდეს და შენიშვნა მოგცეს.

— ასეთი გამძაფრებულია „რეინჯერს“ — „სელტიკის“ დაპირისპირება?

— კი, კვლავაც ეგრეა.

— გლაზგოში ბინა უკვე შეარჩიე?

— ჰო. იქ ვიცხოვრებ, სადაც ადრე რეინჯერსელი ფერნანდო რიკსენი ცხოვრობდა. რიკსენი სხვა ბინაში გადადის და ძველი სახლი ჯერ არ დაუცლია. მოკლედ, კლუბს რიკსენის ყოფილი სახლი ვაქირავებინე, სადაც მალე გადავალ. მანამდე სასტუმროში ვარ ან შოთასთან ვრჩები.

გიორგი ნემსაძე

— ახალი სეზონისთვის მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დავიმატეთ — ტრინიდად-ტობაგოელი მცველი ბრენდ სანჩო.

— ის ხიზანიშვილის შემცვლელად მოიაზრება „დანდიში“?

— შეიძლება ითქვას, ჰო.

— „დანდის“ ახალი დირექტორიც ჰყავს — ჯოვანი დი სტეფანო...

— არ მეგონა, თუ მას დირექტორად მოიყვანდნენ ჩვენთან. ჩემი საქმე არაა, მაგრამ გაზეთებში წავიკითხე, ოსამა ბენ ლადენთან და სადამ ჰუსეინთან აქვს კავშირიო. ამ პიროვნების „არკანთან“ მეგობრობაც ხომ ცნობილი ამბავია.

— მისი მოსვლით „დანდიში“ ბევრი რამ შეიცვლება?

— არ ვიცი, მაგრამ ეგ გვინდოდა ახლა ჩვენ?!

— დი სტეფანოს უკვე აქვს კონკრეტული პროექტი — კლუბის სტადიონის სამხრეთ ტრიბუნის აშენებას აპირებს...

— „დენს პარკს“ სამი ტრიბუნა აქვს, სამხრეთით სკამები და დასადგომები კი არის, მაგრამ იმას ტრიბუნა არ ეთქმის.

— ფეხბურთელებს არ შეგხვედრიათ დი სტეფანო?

— არა. ის ჯერ მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდა და, მგონი, აქციათა გარკვეული პროცენტი იყიდა.

— „დანდი“ კვლავაც ასოციაციის თასის ფინალში გასასვლელად იბრძოლებს?

— საამისო პოტენციალი ალბათ აღმოგვაჩნდება, თუ გზად „რეინჯერსს“ ან „სელტიკს“ არ გადავეყრებით. აქცენტი უფრო ზეექვსეულში მოხვედრაზე გვაქვს გადატანილი, მერე კი ოთხეულში მოხვედრაზე, რაც ევროტურნირების საგზურის მომტანია.

— ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ახალი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. როგორ აღიქვი ასეთი გადაწყვეტილება?

— თავიდან ცოტა არ იყოს მეხამუშა, ვერ წარმომედგინა ასეთი რამ. მერე კი დავფიქრდი და ყველაფერი გავაანალიზე. მერაბ ჟორდანიამ ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ საქართველოში არაა ისეთი მწვრთნელი, რომელიც ნაკრებს ამ შესარჩევ ციკლს ჩაამთავრებინებს, უცხოელის ჩამოყვანა კი მოკლე დროში ვერ მოესწრეოდა. ჟორდანია სამომავლოდ ალბათ სწორედ უცხოელი მწვრთნელის მოწვევაზე ფიქრობს და ჩემი აზრით, ციკლში დარჩენილი სამი თამაშის შემდეგ აუცილებლად გააკეთებს ამას.

— როგორ ფიქრობ, ამ სამ თამაშში რამდენი ქულის მოპოვება შეგიძლია?

— ცუდ მდგომარეობაში ვართ, ძალიან მცირე შანსი შეგვრჩა ჯგუფიდან გასასვლელად, მაგრამ ყოველი წარმატებული თამაშის მერე კარგ ხასიათზე მოდის კაცი — ამ დარჩენილ სამ თამაშში განცდილი სიხარული ყველას გაგვიხარდება.



ჯოვანი დი სტეფანო: „დანდი“ უკვე ჩემია

ვეფხი და მოყმე

ეპოსის გმირი ჩვენს კაპიტანს უდირექტორებს

საფეხბურთო კლუბმა „დანდიმ“ ოფიციალურად აცნობა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციას და სქოთური პრემიერლიგის გენერალურ სპონსორ „ბენკ ოვ სქოტლანდს“, რომ კლუბის დირექტორად ჯოვანი დი სტეფანო დაინიშნა.

დიახ, ასეთი პომპეზურობა და ოფიციალურობა აუცილებელი გახლდათ, რადგან ეს ანგლო-იტალიელი დი სტეფანო სულაც არაა უბრალო კაცი.

დი სტეფანოს გამო ბრიტანული გაზეთები პირველად 1999 წელს აჭრელდა. მაშინ ჯოვანიმ „დანდის“ ყიდვა მოინდომა, მაგრამ ცუდი იმიჯის გამო ზრახვები ვერ აისრულა. ოთხი წლის წინ სადამ ჰუსეინი და ოსამა ბენ ლადენი მაინცდამაინც არ მოიაზრებოდნენ სამყაროს მტრებად და, არც მათი დი სტეფანოსთან კავშირის შესახებ იყო რამ ცნობილი.

მაგრამ 90-იან წლებში ბობოქრობდა ჟელკო რაზნატოვიჩი. თიკუნი ამ სერბი კაცისა იყო „არკანი“, მას ხშირად „ვეფხვ არკანსაც“ უწოდებდნენ. მან სერბეთ-ხორვატიის ომის დროს გაითქვა სახელი, როგორც სერბ მეომართა დიდმა ავტორიტეტმა და ხორვატთა მულეტმა. დი სტეფანო კი „არკანის“ მეგობარი და კომპანიონი გახლდათ — ისინი იყვნენ იმ საფეხბურთო კლუბ „ობილიჩის“ მეპატრონეები, რომელიც 1997 წელს იუგოსლავიის ჩემპიონი გახდა.

თუმც ამ ტრიუმფის შემდეგ დი სტეფანო ჩამოსცილდა „ობილიჩს“, რადგან კარგად აუღო ალღო იუგოსლავიაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას. ამბობდნენ, „არკანი“ ქვეყნის პრეზიდენტ სავო მილოშევიჩს დაუპირისპირდაო. „ვეფხვი არკანი“ ომის დროს ჩადენილ კრიმინალურ საქმეებში ამხილეს და სასამართლო პროცესს უმზადებდნენ. დი სტეფანო განათლებით იურისტია, ხელობით კი ვექილი და ბიზნესმენი. ჯოვანი „არკანის“ ადვოკატობისთვის ემზადებოდა, მაგრამ 2000 წელს „ვეფხვ არკანს“ სასიკვდილო ტერაქტი მოუწყვეს — 38 ტყვია დაახალეს.

ამბობენ, დი სტეფანომ „დანდი“ იმად ამოიჭრა გულში, რომ მისი ვაჟი მილანი ამ გუნდის გულშემატკივარიაო. მილანი გორდანსტოუნში სწავლობს — ეს ის სკოლაა, სადაც პრინც ჩარლზსაც უვლია და ჭაბუკ დი სტეფანოსაც იქ შეჰყვარებია „დანდი“.

„რაც შეეხება ჩემს ინვესტიციებს „დანდიში“, ეს ჩემი პირადი საქმეა. მაგრამ როცა სპორტში ვდებ ფულს, საამისოდ ჩემი ტაქტიკა მაქვს — არ გამოვდივარ იმ ფულს, რომლის დაკარგვის უფლებასაც ჩემს თავს ვერ მივცემ“ — ასეთი ჩახლართული კომენტარი დაურთო დი სტეფანომ მის ნანატრ ურთიერთობას „დანდისთან“.

და კიდევ „არკანის“ მეგობარი ვექილი ახლა დამცველად უდგას ბრიტანეთში ცნობილ მანიაკს, სერიულ ქილერ ჰაროლდ შიპმანს.

დავით თავართქილაძე

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲙᲐᲘᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ ᲰᲘᲪᲤᲔᲚᲓᲘ ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲡ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚ ᲠᲝᲘ ᲛᲐᲙᲐᲘᲡ ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲝᲢᲛᲐᲠ ᲰᲘᲪᲤᲔᲚᲓᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲨᲘ ᲓᲐᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲔᲑᲡ

REUTERS ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲓᲐᲜ

II ᲢᲣᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ

ᲰᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘ	—	ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ
ᲤᲠᲐᲘᲑᲣᲠᲒᲘ	—	ᲰᲐᲜᲖᲐ
ᲕᲔᲠᲓᲔᲠᲘ	—	ᲒᲚᲐᲓᲑᲔᲩᲘ
ᲙᲘᲝᲚᲜᲘ	—	ᲚᲐᲣᲢᲔᲠᲜᲘ
ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ	—	ᲨᲐᲚᲙᲔ
ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ	—	ᲕᲝᲚᲤᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲑᲝᲮᲣᲛᲘ	—	ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ

ᲮᲕᲐᲚ

ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲢᲘ	—	ᲰᲔᲠᲗᲐ
ᲐᲘᲜᲢᲠᲐᲮᲢᲘ	—	ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ უჩვეულოდ ცხელა. თერმომეტრი 40 გრადუსს უკაკუნებს და ბუნდესლიგელი მწვრთნელები მატჩის დაწყების დროის გადაწევას მოითხოვენ, საღამოს ვითამაშოთო. ამის მომხრეა 18-დან 12 კლუბი. თორმეტ მოჯანყეს „ჰანოვერის“ მწვრთნელი რალფ რანგნიკი თავკაცობს, რომელსაც „შალკეს“ თავკაცი იუპ ჰაინკესიც დაეთანხმა: „ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ, მაგრამ მეეჭვება, დღის ოთხის ნახევარზე დანიშნული მატჩების რამდენიმე საათით გვიან დაწყების უფლება მოგვცენ“.

იუპ ჰაინკესს იმიტომ ეეჭვება, რომ ტელეტრანსლაციის დრო, პირობები და მთელი ეს მარკეტინგი უკვე აწყობილ-დათვლილია და შეიძლება, ამ დათმობაზე არ წავიდნენ.

წინა კვირასაც არანაკლებ ცხელოდა. ლევერკუზენის „ბაიერის“ მწვრთნელმა კლაუს აუგენტალერმა „ფრაიბურგთან“ თამაშის შემდეგ ფეხბურთელები სველ ზეწრებში გაახვია.

„ფრაიბურგი“ „ჰანზას“ უმასპინძლებს. ორივე პირველ ტურში დამარცხდა. ცქიტიშვილიაშვილის გუნდი ლევერკუზენელებს წინა შეხვედრაში თითქოს შეეწინააღმდეგა და გაშვებული გოლის შემდეგ კიდეც გაათანაბრა, მაგრამ მერე მეტოქემ დააჩოქა. როგორც ჩანს, ფოლკერ ფინკეს შეგირდებს ჯერ სასურველი ფორმისთვის არ მიუღწევიათ. რაც შეეხება „ჰანზას“, აღმოსავლეთგერმანული კლუბის შემადგენლობა ზაფხულში არ გაძლიერებულა და ისინიც ალბათ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. მოკლედ, სამი ქულისოვის ფრაიბურგში ფიცხელი შეტაკება იქნება.

„ვერდერმა“ ინტერტოტზე ხასხასა ძაფჭაჭჩეჩა და მხრებიდან ზედმეტი ბარგი მოიხსნა. ბრემენელებს „პაშინგი“ რომ არ ანაღვლებდათ, ავსტრიელებთან პირველ შეხვედრაშიც გამოჩნდა. „პაშინგთან“ 0:4-ის შემდეგ „ვერდერმა“ ბერლინში „ჰერტას“ გემრიელი ალიყური აჭამა. მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ თავდამსხმელი პეტერ ვან ჰუდტი ტრავმის გამო დააკლდება.

„კიოლნს“ „კაიზერსლაუტერნისთვის“ ბოლო ექვს ბუნდესლიგურ შეხვედრაში ერთიც არ მოუგია. მასპინძელ „თხებს“ ნახევარმცველი ალექსანდრ ვოიგტი და მცველი მოზეს სიჩონე ვერ დაეხმარებიან. „კაიზერსლაუტერნს“ ეგვიპტელი ჰანი რამზე გამოაკლდა, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო ექვსთვიანი დასვენება გამოუწერეს. დისკვალიფიცირებულია მცველი ბილ ჩატო.

„მიუნხენ 1860“ „შალკეს“ უმასპინძლებს. გელზენკირხენელებს ნახევარდაცვაში პრობლემა აქვთ. ჯერალდ ასამოა დისკვალიფიცირებულია, იორგ ბიომე კი — ტრავმირებული.

დორტმუნდის „ბორუსიას“ დაშავებულთა სიაში არიან მცველი ევანილსონი, ნახევარმცველები — ფრინგსი და დემელი, სებასტიან კელს კი თვენახევრიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. „შავ-ყვითლები“ „ვოლფსბურგს“ და ახალ არგენტინელ მგელს, ანდრეს დალესანდროს უმასპინძლებენ.

„ბოხუმის“ მწვრნელს ის ახარებს, რომ ლაზარეთში არავინ ჰყავს და წინა ტურში „ვოლფსბურგთან“ გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი დარჩა. „ჰამბურგს“ ჩეხი მცველი ტომაშ უიფალუში გამოუკეთდა და შესაძლოა, კურტ იარამ ძირითად შემადგენლობაში ათამაშოს.

მთავარი ამბავი ალბათ ჰანოვერში მოხდება. მასპინძლები „ჰამბურგთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ „ბაიერსაც“ ემუქრებიან, რომელიც რიი მაკით გამდიდრდა. გამორიცხული არაა, ოტმარ ჰიცფელდმა ჰოლანდიელი ფორვარდი ათამაშოს. ხომ უნდა შეამოწმოს, მილიონები ვის სანაცვლოდ გადაიხადა.

ᲮᲕᲐᲚ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲡᲘ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ — ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ

ᲙᲐᲠᲓᲘᲤᲘ, «ᲛᲘᲚᲔᲜᲘᲣᲛᲘ». 18.00

ᲩᲐᲠᲘᲗᲘ ᲨᲘᲚᲓᲘ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘᲗ

ᲙᲕᲘᲠᲐ, შუადღე, კარდიფი, „მილენიუმის“ სტადიონი: ახალი სეზონის პირველი ინგლისური თამაში, ჩარითი (საქველმოქმედო) შილდი (ფარი) დღეს ქომუნითი შილდად წოდებული, კონტინენტური ევროპისთვის უფრო გასაგები სიტყვით, სუპერთასით გამოხატული.

ამ ფარისთვის ერთმანეთს ხვდებიან ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ასოციაციის თასის მფლობელი „არსენალი“, ამ ჯილდოსთვის ბოლოხანს ტრადიციული მებრძოლნი.

ჩარითი შილდი 1908 წლიდან თამაშდება და მისი პირველი მფლობელი „მანჩესტერია“, ბოლო მფლობელი კი „არსენალი“, რომელმაც ბოლო ხუთ წელიწადში სამჯერ მოიგო სეზონის პირველი ჯილდო და აქედან ორჯერ პირადად „მანჩესტერს“ აართვა. ამ უკანასკნელმა კი ბოლო შვიდი საშილდო მატჩიდან ექვსში მიიღო მონაწილეობა, ერთი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ბოლო ოთხი კი ზედიზედ წააგო.

„უემბლის“ დანგრევის შემდეგ ჩარითი შილდი ზედიზედ მესამედ იმართება კარდიფში. „მანჩესტერ“ — „არსენალის“ თამაშს ის დატვირთვაც აქვს, რომ პირველმა ცხვირწინ აიცალა წლევანდელი ჩემპიონობა მეორეს. ალექს ფერგიუსონის გუნდმა ამასწინათ წარმატებით მოიარა ამერიკა, სამაგიეროდ კი, არსენ ვენგერისთვის „მილენიუმი“ იღბლის სტადიონია, აქ მეთოფეებმა ორჯერ ზედიზედ მოიგეს ასოციაციის თასი. „მანჩესტერმა“ კი სწორედ აქ წააგო ლიგის თასის ფინალი „ლივერპულთან“ მარტში. და აქვე აქვს წაგებული იმავ გუნდთან ჩარითი შილდი.

საერთოდ, ურთიერთშეხვედრებში ვენგერი უგებს ფერგიუსონს, ოცი თამაშიდან ნახევარში დაამარცხა და მხოლოდ ექვსი წააგო.

წინასასეზონოდ მანჩესტერი უფრო მზადაა, ოკეანის გაღმა „იუვენტუსი“ და „ბარსელონა“ დაამარცხა და ოთხ თამაშში 14 გოლი გაიტანა ისე, რომ მხოლოდ სამი გაუშვა. გუნდი ამ კვირაში დამარცხდა „სპორტინგთან“, თუმც, როგორც ამბობენ, ლისაბონში კარდიფზე უფრო ფიქრობდა. „არსენალს“ ხმაურიანი მზადება არ გამოუვიდა. ფრედ ითამაშა „სელტიკთან“, რომელმაც „მანჩესტერთან“ 0:4 წააგო ამერიკაში. სამაგიეროდ, მეთოფეებს მწყობრში ჰყავთ პატრიკ ვიერა, რომელიც სწორედ „მანჩესტერთან“ მატჩში დაშავდა წინა პრემიერლიგაში და იმის შემდეგ არ უთამაშია. ასევე დისკვალიფიკაცია გაუთავდა სოლ კემპბელს, რომელიც იმავე თამაშში გააძევეს და კვირას ისიც ითამაშებს. ორივე გუნდის სასტარტოში ახალი სახეები მხოლოდ მეკარეები იქნებიან. მეთოფეები დააყენებენ დორტმუნდიდან მოსულ იენს ლემანს, მანჩესტერელები კი ალბათ ამერიკელ ტიმ ჰოვარდს.

სხვა მხრივ ეს ძველ მეტოქეთა მორიგი მატჩია.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲢᲘᲢᲐᲜᲗᲐ ᲯᲐᲮᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲔᲚᲘ ᲠᲝᲘ ᲞᲐᲠᲚᲝᲣ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲔᲚᲘ ᲠᲝᲘ ᲙᲘᲜᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲮᲕᲐᲚᲐᲪ ᲨᲔᲘᲐᲚᲙᲔᲑᲘᲐᲜ

კაი ხალხი, კაი ხუმრობა
ჯეკი ჩანმა რეალი ახითხითა

ჯადოსნური იუმორი, ჯადოსნური კარატე და ჯადოსნური გუნდი — ჰონკონგის „გრანდ ჰაიატ ოტელში“ მეფური საზოგადოება შეიკრიბა — კასტილიური მადრიდის „რეალი“ და... კინოკარატეს ჩინელი ხელმწიფე ჯეკი ჩანი. აღმოჩნდა, რომ კოსმოპოლიტური ქალაქიმპერიის ყველაზე პოპულარული პიროვნება ესპანური გრანდის მხურვალე თაყვანისმცემელია

ჯეკი ჩანი და დევიდ ბექემი

ჩინურ სასტუმროში აღმოსავლურ ორთაბრძოლათა უბერებელი ოსტატის მისვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. „ჰაიატ ოტელის“ ეგზოტიკურად მორთულ საპრესკონფერენციო დარბაზში გიჟური მხიარულება სუფევდა, „რეალმა“ და ჯეკიმ საერთო ენა უმალ გამონახეს. ყრმობისდროინდელ კინოკერპთან შეხვედრით თვით სიტყვაძუნწი და მორიდებული ზინედინ ზიდანიც კი ბავშვივით აღტაცებული ჩანდა. „ჯეკი მაგარი კაცია. პირდაპირ გეტყვით, კუნფუსა და სხვა აღმოსავლურ შერკინებათა თემატიკაზე გადაღებული ფილმების დიდი მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ თუ რომელიმე მათგანში ჯეკი ჩანი თამაშობს, აუცილებლად ვნახავ“ — განუცხადა ზიზუმ ხალისიანი არეულობის მონაწილე ჩინელ და ესპანელ ჟურნალისტებს.

ჰონკონგელმა სენსეიმ რობერტო კარლოსსა და დევიდ ბექემს კარატეს სახელდახელო გაკვეთილებიც ჩაუტარა. „თქვენი შესრულებული საჯარიმოები მიხილავს, მაგრამ აბა, ერთი ისიც გამოვცადოთ, რეაქციის სისწრაფეზე როგორა ხართ“ — უთხრა ჯეკიმ ბრაზილიელ რეალელს. მერე იქვე ახლოს მდებარე საკმაოდ მძიმე სავარძელი ცალი ხელით ბუმბულივით აიტაცა და ახალშეძენილ მოწაფეს სახის სიმაღლეზე გაუჩერა. „საზურგეს დაარტყი, ბურთზე უფრო რბილია“ — ვერაგული ღიმილით შესთავაზა კარლოსს მარად ცულლუტობის ხასიათზე მყოფმა ჩანმა და მეკარეთა რისხვა ცაცია ფეხზე თავაზიანად მიანიშნა. „აუცილებლად დავარტყამ“ — უყოყმანოდ მიუგო რობერტომ და მრისხანე ცაცია საშიშად მოუქნია. ჯეკიმ ელვის სისწრაფით, რაღაც ქაჯური მოძრაობით სავარძელი ჰაერში შეატრიალა, მაგრამ იქამდე მისი ღლაბუცობის წამკითხავმა კარლოსმა ფეხი ნახევარ გზაზე გაიშვა. „FARSANTE! FARSANTE!“ — მთელი დამსწრე საზოგადოების გასაგონად გაჰყვიროდა თავადაც გვარიანად ეშმაკი „ბრაზილიერი“ („ფარსანტე“ ჩვენებურად „მატყუარად“ ითარგმნება). საერთო ხარხარში ჩინელი ბექემს მიუტრიალდა და მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურს დიდებულად ფლობს, „რეალის“ 23-ე ნომრის მისამართით მშობლიურ ენაზე გრძელი და მგზნებარე ტირადა წარმოთქვა. ექსმაწესტერელს მშვენიერი იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა. „ყველაფერი გავიგე. მითხრა, რომ არა მარტო ვარცხნილობით ვარ სამურაი და ჩემნაირ დიდებულ მეომართან ძალების მოსინჯვა სურს“ — აღიარა ბექემმა და ვეფხვის საბრძოლო პოზამომარჯვებული ჯეკი ჩანის შეტევას დაელოდა. ამნაც დიდი სიცილის აფეთქება გამოიწვია, ყველაზე გემრიელად კი ალბიონელი სამურაის მეტოქე ხითხითებდა.

ჯეკი ჩანი ჰონკონგის „ტურისტული ელჩი“ გახლავთ და ყოველ სპატიო სტუმარს ჩვეული გულითადობითა და ხალასი იუმორის ფრქვევით ეგებება. დასასრულ, ვიდრე „რეალის“ ფეხბურთელთა ხელმოწერებით აჭრელებულ კასტილიური გრანდის მაისურას მოირგებდა, უკვდავმა ჯეკიმ ესპანურ „მარკასაც“ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი. „ჰონკონგისთვის დიდი პატივია „რეალის“ ჩამოსვლა. მთელი ქალაქი დადებითი ენერგიით დაიმუხტება. ვის რაში სჭირდება ამდენი ოქები, დასხედით, ხალხო, და მადრიდელების თამაშები ნახეთ, ამათი ბურთაობა ყველაზე ბოროტ ადამიანს ცხოვრების სილამაზეზე დააფიქრებს“ — თქვა ჩინური დრაკონ-ქალაქის სპატიო ჩინოვნიკმა.

ლადო ხომერიკი

რომან აბრამოვიჩმა თვალი ახლა ამ კამერუნელს, სამუელ ეტოოს დაადგა

გაგვაგებინე, კრისტიანო...

„ინტერი“ აცხადებს, რომ ხმები, თითქოს კრისტიან ვიერი „ჩელსიში“ იყიდება, ტყუილია. შეგახსენებთ, რომ ინგლისური მასმედია ხუთშაბათს ერთიანად წალეკა ცნობამ იმის თაობაზე, რომ ლონდონელები და მილანელები 22 მილიონ გირვანქად გაურიგდნენ ერთმანეთს.

„არც ერთ კლუბს არაფერზე გავრიგებივართ. მეტიც, რაიმე მოლაპარაკებებიც კი არ მიმდინარეობს. კრისტიან ვიერი „ინტერის“ ფეხბურთელია და მოახლოვებულ სეზონს „ინტერში“ გაატარებს. ამის შესახებ ეჭვი ნურავის ექნება“ — განაცხადა „შავ-ლურჯთა“ პრესმდივანმა.

მოგეხსენებათ, 30 წლის ვიერი, რომელსაც კარიერაში ცხრა გუნდი აგამოუცვლია, „ჩელსის“ ახალ მეპატრონეს, რუს ოლიგარქს, რომან აბრამოვიჩს მიზანში ჰყავს ამოღებული, თუმცა, ბოლო დროს იმასაც ამბობდნენ, რომ რუსს იტალიელის შეძენა არ გამოუდის და ესპანური „მალიორკადან“ სამუელ ეტოოს ყიდვაზეა გადართულიო.

და მაინც, ინგლისური გაზეთების ხმაური მთლად თითიდან გამოწოვილი ვერ იქნება...

პაპუნა კედია

დრო, პარმამაც მოიგოს



სტეფანო ტანცი

„პარმას“ პრეზიდენტი სტეფანო ტანცი ამბობს, რომ თავისი ახალგაზრდული გუნდით უეფას თასის მოგებას უმიზნებს. შეგახსენებთ, რომ „პარმამ“ წინა სეზონში მეხუთე ადგილი დაიკავა, ეს კი მნიშვნელოვანი იმითაა, რომ კლუბი ხარჯთა შეკვეცის პოლიტიკას ადგას და, მაგალითად, ძვირადღირებულ ვარსკვლავთა დევნაში არ მონაწილეობს.

„გასულ სეზონში დიდებული შედეგი გვქონდა და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც მივაღწევთ დასახულ მიზანს, თუმცა ისიც ცხადია, რომ შემდგომი 12 თვე გასულ 12 თვეზე ძნელი იქნება“ — თქვა ტანციმ, რომელმაც ბოლო წლებში ბევრი სახელოვანი მოთამაშე გაჰყიდა: ლილიან ტურამი, ჯანლუიჯი ბუფონი, მარკო დი ვაიო, ფაბიო კანავარო...

„ჩვენ უეფას თასზე ეფექტი უნდა მოვახდინოთ, — დასძენს პრეზიდენტი, — ევროპული გამარჯვება „პარმას“ დიდი ხანია, აღარ ჰქონია“.

შეგახსენებთ, რომ პარმელებმა უეფას თასი ბოლოს 1999 წელს მოიგეს, ისე კი, ბოლო 13 წელიწადია, ამ შეჯიბრებაში უწყვეტად მონაწილეობას ახერხებს.

პაპუნა კედია

დი ბიაჯო ბაჯოსთან

„ინტერის“ ნახევარმცველმა, ლუიჯი დი ბიაჯომ „ბრეშასთან“ პირადი ამბებიც მოაგვარა და მორჩა და გათავდა, ყველაფერი დალაგებულია. დი ბიაჯო 32 წლისაა, რომელსაც „შავ-ლურჯების“ შეფმა, ექტორ რაულ კუპერმა მკაფიოდ აგრძნობინა, რომ მის ხელში ძირითად შემადგენლობაში ვერ ითამაშებს.

„ბრეშაში“ გადასვლა ყოველთვის მინდოდა და ამიტომ ტრანსფერით კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა ოდესღაც „რომაში“ ნათამაშევმა ფეხბურთელმა, — მადლობა „ინტერს“ ბოლო წლებისთვის, მაგრამ ამიერიდან ბრეშელი ვარ და ახალი კლუბისთვის ვიბრძვი. ბედნიერებაა, მომავალ სეზონში რობერტო ბაჯოს მხარდამხარ რომ მომიწევს თამაში“.

ტრანსფერის თავისებურება ის გახლავთ, რომ დი ბიაჯომ „ინტერთან“ უსასყიდლოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსით გაშვების თანხმობას მიაღწია და ამდენად „ბრეშას“ „ინტერისთვის“ კაპიკი არ გადაუხდია. ნახევარმცველს „ბრეშას“ გარდა ეპატიჟებოდნენ „პერუჯა“, „მიდლსბრო“, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ და „კაიზერსლაუტერნი“.

პაპუნა კედია

REUTERS ჰონკონგიდან

ჰონკონგი — რეალი 2:5. მავან ჰონკონგელს, ორ ვარსკვლავს, მიჩელ სალგადოს და დევიდ ბექემს თავზე რომ გადახტომია, გუშინდელი მატჩი მთელი ცხოვრება ეხსომება

მწყინათ და ჯანზე მოდიან

„მილანმა“ იტალიის სუპერთასზე „იუვენტუსთან“ პენალტებით წაგება, მიუხედავად ამ ჯილდოს მეორეხარისხოვნობისა, როგორც ირკვევა, განიცადა. კერძოდ, აი, რა განაცხადა „შავ-წითელთა“ ნახევარმცველმა მასიმო ამბროზინიმ:

„ნიუ იორკში მომხდარმა აშკარად დაგვწყვიტა გული. რასაკვირველია, ეს ჯილდო ჩემპიონთა თასივით მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ჩვენს მუზეუმს რომ შეემატებოდა, ფაქტია“.

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვა გუნდის ახალწვეულმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა კაფუმ:

„ახალ გარემოს კარგად კი შევეწყვე, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, დებიუტი ჯილდოს მოგებით მქონოდა. ისე, კი წავაგეთ, მაგრამ კარგად ვითამაშეთ“.

რაც შეეხება ვარჯიშსა და სეზონისთვის მზადებას, აქ საქმეები ასეა: მილანელები იმედოვნებენ, რომ ჯენარო გატუზო, რივალდო და იონ დალ ტომასონი მალე დაუბრუნდებიან ვარჯიშს.

გატუზო, რომელმაც ბარბყის კუნთი გაიჭიმა, თითქოს ორი კვირის შემდეგლა უნდა დაბრუნებოდა საქმეს, მაგრამ შავ-წითელთა საბედნიეროდ ირკვევა, რომ გამოჯანმრთელების პროცესი გაცილებით სწრაფად მიდის.

„ჯენაროს ფიზიოთერაპიული მკურნალობა ჩაუტარდა და ეჭვი არ მეპარება, რომ სულ მალე ნორმალურად ივარჯიშებს“ — განაცხადა კლუბის ექიმმა არმანდო გოძინიმ.

გატუზო სწორედ „იუვენტუსთან“ ზემოხსენებული შეხვედრის დროს დაშავდა. რაც შეეხება რივალდოსა და ტომასონს, ისინი ამ შეხვედრაში სულაც არ მონაწილეობდნენ, რადგან ბრაზილიელი ჯერ ფორმაში არ არის, დანიელი კი მხრის ოპერაციის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის.

მათზე გოძინიმ ასე განაცხადა: „ორივეს გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის. ვგონებ, მომდევნო კვირაში ორივე შეუერთდება თანაგუნდელებს“.

პაპუნა კედია

კაფუმ (მარცხნივ) და მილანელებმა „იუვენტუსთან“ მარცხი იწყინეს

ედგარ დავიდსი არ იყიდება?!

საეჭვოა ეს ყველაფერი

ისევ „იუვენტუსისა“ და ედგარ დავიდსის თემას დავუბრუნდეთ და „ბებერი ქალბატონის“ თაკკაცს, მარჩელო ლიპის მოვუსმინოთ.

„დავიდსთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს — განაცხადა ტაქტიკოსმა, — გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწვეტა კი გვმართებს“.

გავიხსენოთ, რომ წინა კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ იტალიის სუპერთასზე დავიდსმა „მილანის“ წინააღმდეგ არ ითამაშა, რამაც დიდი ეჭვები აღძრა. ამბობდნენ, რომ ჰოლანდიელი კლუბმა დასაჯა და არ ათამაშაო, თუმცა კლუბი ამ ჭორს დაჟინებით უარყოფდა. ერთი სიტყვით, საყოველთაო ეჭვის თანახმად, დავიდსი, რომელსაც ტურინელებთან კონტრაქტის ვადა ერთი წლის შემდეგ გასდის და ავტომატურად თავისუფალი აგენტი ხდება, ახლავე იყიდება. ამბობდნენ შესაძლო ვარიანტებს. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ ნახევარმცველის ყიდვა „ჩელსის“ სურდა და მასში 8 მილიონ ინგლისურ გირვანქას იხდიდა. ეს გარიგება ჯერჯერობით, მართალია, არ შედგა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ლონდონელებმა კიდევ წამოიწყონ საუბარი.

და, აი, კიდევ ერთი საეჭვო გამონათქვამი, რომელიც ჯერ „იუვენტუსის“ ტრანსფერთა შეფს, ლუჩანო მოჯის წამოსცდა, ხოლო ახლა ლიპიმაც გაიმეორა — „თუ დავიდსი მაინც გაიყიდება, მის ადგილს ახალშეძენილი სტეფან აპია დაიჭერს“.

„მას მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეუძლია, თუმცა უძლიერესი ნახევარდაცვის მარცხენა მხარესაა“ — თქვა ლიპიმ.

22 წლის აპია გასულ სეზონში „ბრეშაში“ თამაშობდა, თუმცა „პარმას“ ეკუთვნოდა და „იუვემაც“ პარმელთაგან იყიდა.

პაპუნა კედია



ყოფილი იუვენტუსელი მარსელო სალასი ახლა არგენტინული „რივერ პლეიტის“ ლირსებას იცავს და ძველნაქებ საფეხბურთო ოსტატობას პატაგონიური კლუბის სიძლიერეს ახმარს

ცოტაცა, ცოტაცა და...

ახლახან მისმა გუნდმა აპერტურას პირველ შეხვედრაში „ნუევა ჩიკაგო“ დაამარცხა ანგარიშით 2:1. თუმცა ჩილელი ვეტერანი, როგორც იქაურ ჟურნალისტებს თავადვე განუცხადა, ჯერჯერობით „რივერის“ სწრაფ ტემპს ვერ შეეწყო და სრული ადაპტირებისთვის კიდე ერთ თამაშს საჭიროებს. „ეს ჩემი პირველი ოფიციალური მატჩი იყო ახალ თანაგუნდელებთან ერთად. „რივერ პლეიტის“ სათამაშო სტილთან შესაჩვევად კიდევ ერთი მატჩი დამჭირდება“ — აღიარა „ელ მატადორმა“.

ფიზიკურად ჩილელი თავს კარგად გრძნობს: „ვფიქრობდი, ფიზიკური ფორმის მხრივ „ნუევა ჩიკაგოსთან“ შერკინება გარკვეულ პრობლემებს შემიქმნიდა. საბედნიეროდ, ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა და ამიტომაც მშვიდად ვარ — აპერტურას რამდენიმე მატჩი და „რივერის“ ინჩასები ჩემს საუკეთესო ბურთაობას იხილავენ.“ „რივერ პლეიტის“ მომავალ წარმატებებზე საუბარი კი მარსელომ ნაადრევად ჩათვალა, სეზონი ახალდაწყებულიაო. „მომავალ მოგებათა თუ უიღბლობათა შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით, გუნდს რეალური ძალა შემდგომი 2-3 მატჩისას გამოჩნდება. იმის აღნიშვნა კი აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენს საქმეს ყველანი დიდი მონდომებით ვეკიდებით. პირველი შეხვედრა და პირველი გამარჯვება არცთუ ურიგო შედეგია“ — უთხრა მედიას სამხრეთამერიკელმა ვარსკვლავმა.

ლადო ხომერიკი

მე, სერია A მე!
აკონტროლე კონტროლი

„რომა“ ფინანსურ პრობლემებს განიცდის, ეს ფაქტია! ისიც ფაქტია, რომ კლუბს ამის გამო ლიცენზირების პრობლემა წამოეჭრა, მაგრამ რა შუაში უნდა იყოს აქ ბერგამოს „ატალანტა“? შეგახსენებთ: „ატალანტა“ მაისში სერია A-ს გამოეთხოვა, გავარდა!

ჰოდა, გავარდნილ ბერგამოელებს უმაღლეს საფეხბურთო მარაქაში დაბრუნება სერია B-ში თამაშისა და ბრძოლის გარეშე მონდომებიათ — სპორტულ ინსტანციებში თხოვნები აფრინეს, ნახეთ, განიხილელთ და თუ დაასკვნით, რომ სერია A-ში „რომას“ თამაში შეუძლებელია, მის მაგივრად ჩვენ დაგვიშვითო.

ათამაშებენ თუ არა „ატალანტას“ სერია A-ში „რომას“ ნაცვლად, მალე გაირკვევა, ჩვენ კი რომაელების პრობლემას დავუბრუნდეთ:

„რომა“ კარგა კერკეტი კაკალია და იტალიური ფეხბურთის ფინანსურ მარეგულირებელს გაღმა უჩივის. უფრო დაწვრილებით გავიხსენოთ, რა ხდება. წლის ბოლოს, თავისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში რომაელებს გარანტად ჩაწერილი ჰყავდათ ბანკი SBC. როდესაც ზემოხსენებულმა მარეგულირებელმა, COVISOC-მა ანგარიში წაიკითხა, დაინტერესდა ამ SBC-ს გარანტიათა სიმყარით და გაარკვია, რომ ეს ბანკი ერთი რომ მცირეა და მეორე, მისმა დირექტორატმა არ იცის, რომ „რომას“ ფინანსური გარანტია მისცა. ერთი სიტყვით, თაღლითობაა, რომელშიც თითქოს ფეხბურთის კლუბი რჩებოდა გამოჭერილი, მაგრამ კლუბმა იქით შეუტრიალა COVISOC-ს ყველაფერი.

„ჩვენ დრო აღარ გვქონდა და გარანტად ჩავწერეთ ის ბანკი, რომელიც თავად COVISOC-მა გვირჩია. ხოლო, ვინაიდან COVISOC-ი იტალიური ფეხბურთის მაკონტროლებელი უმაღლესი ორგანოა, თავში აზრად არ მოგვსვლია, რომ მაკონტროლებელს თავად სჭირდება კონტროლი“ — განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე „რომას“ ერთ-ერთმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ.

პაპუნა კედია

„რომას“ სპორტულ დირექტორს ფრანკო ბალდინის ღიმილი ეგვე ბირზეც შეაშრეს

გმადლობთ, ხალხო!
ვერ ივარგა ვარგასმა

„რეჯინას“ ჩილელი სტოპერი ხორხე ვარგასი თავის არცთუ ძლიერ. კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტას არ შეეწინააღმდეგა. წესით იგი რეჯო კალაბრიაში 2007 წლამდე უნდა დარჩენილიყო.

„აქაურ მოსახლეობას დიდ მადლობას მოვახსენებ იმისთვის, რაც მან ჩემთვის სამი წლის განმავლობაში გააკეთა. არა მგონია, ჩვენი ურთიერთობები მოკვდეს, მაგრამ კლუბთან კამათს ტრანსფერზე დათანხმება ვამჯობინე. სიამოვნებით დავრჩებოდი კიდევ დიდხანს, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა“ — განაცხადა ვარგასმა, რომელსაც ბოლო ხანს თითქოს „იუვენტუსში“ გადასვლას უქადდნენ.

„შესაძლოა ახლა გერმანიაში წავიდე“ — დასძინა მან.

პაპუნა კედია

ხორხე ვარგასი

რივერი ბოკას მარსელოებით ემუქრება

მარსელო გალიარდომ (მარცხნივ) „მონაკოს“ სამშობლოში ბურთაობა ამჯობინა

არგენტინელი პლეიმეიკერი მარსელო გალიარდო მშობლიურ „რივერ პლეიტს“ დაუბრუნდა. ფრანგული „მონაკოს“ აწ უკვე ყოფილ ფეხბურთელს უთანხმოება ჰქონდა მწვრთნელ დიდიე დეშანთან. გალიარდოს თამაში სურდა, დეშანმა კი მყარად დასვა სათადარიგოთა სკამზე. მის ნაცვლად საფრანგეთის ეროვნული ნაკრების კანდიდატ ლუდოვიკ ჟიულის ათამაშებდა.

„ის უკვე „რივერის“ ფეხბურთელია, მარსელო მეორეა, ვინც ევროპიდან დაგვიბრუნდა.“ — აცხადებს „რივერ პლეიტის“ პრესსამსახური.

დიახ, გალიარდო მეორე მარსელოს, მასსავით ევროპიდან დაბრუნებული სალასის თანაგუნდელი გახდა. ხელებს იფშვნეტს „რივერის“ მწვრთნელი მანუელ პელეგრინი, ისეთი გუნდი მყავს, „ბოკა ხუნიორსი“ ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვაო. „ბოკა“ კი, იცით, „რივერის“ მტერია.

მაინც ვისზე ამყარებს იმედს პელეგრინი? ბუენოსაირესული კლუბი მართლაც საგრძნობლად გაძლიერდა. თავად განსაჯეთ: კოლუმბიელი კილიან ვირვიესკასი „ამერიკა დე კალიდან“, ფერნანდო კროსა „ლანუსიდან“, დანიელ მონტენეგრო ესპანური „სარაგოსადან“, ნელსონ ვივასი მილანის „ინტერიდან“, სალასი და გალიარდო. ალბათ, დაგვეთანხმებით, შენაძენი მართლაც სოლიდურია.

არგენტინაში აპერტურა, ზამთრის პირველობა უკვე დაიწყო. „რივერი“ კლაუსურას ჩემპიონია და ვნახოთ, რას მოუტანს ბაქიბუქი მანუელ პელეგრინის.

გიორგი ვაშაკიძე

ჩერნიშოვი შავს ეშურება
როტორს ყონცევოი მომენტი აღლია

რუსეთი

პრემიერლიგა
XX ტური

სპარტაკი 3:2 როტორი
1:0 ტიტოვი (20), 1:1, 1:2 ესიპოვი (54, 59), 2:2 კალინიჩენკო (70), 3:2 პავლიუჩენკო (90)

ტორპედო 1:2 ზენიტი
0:1 კერჟაკოვი (18), 1:1 კორმილცევი (41), 1:2 ბისტროვი (89)

წინა ტურში „ლოკომოტივთან“ შერცხვენილმა „სპარტაკმა“ გუნება „როტორის“ დამარცხებით ოდნავ გამოიკეთა. „სახალხო გუნდის“ კარში ორ-ორი გოლი ხშირად გადის და ეს ვოლგოგრადელებმაც მოახერხეს. ანდრეი ჩერნიშოვს დაცვაში საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს. დიდი გაწამაწიის შემდეგ კიევის „დინამოდან“ გადაყვანილი ვლადისლავ ვაშჩუკი განაცხადში საერთოდ არ ყოფილა, რადგან, მწვრთნელის თქმით, ძალიან ხშირად ცდება.

„სპარტაკის“ შემადგენლობაში სენეგალელ მარჯვენა მცველ კებეს გამოჩენა მოულოდნელი იყო. თვითონ ჩერნიშოვმა ერთი კვირის წინ განაცხადა, მისი ფეხი აქ არ ვნახოო. რუსსა და სენეგალელს შორის აგორებული კონფლიქტი ჩაცხრა და კებე გუნდში დააბრუნეს.

უკვე მეშვიდე წუთისთვის მასპინძლებმა სტუმართა მეკარე ორჯერ დაასაქმეს. ორჯერვე კონცევოიმ დაარტყა. მესამე შეტევა სპარტაკული მოკლე პასებით დაიწყო და ტიტოვის გოლით დასრულდა. კალინიჩენკომ ფლანგზე ჩარბენილ კონცევოის ბურთი წაუმძღვარა, რომლის პასსაც „სპარტაკის“ კაპიტნის ფეხი დაუხვდა და ანგარიში გაიხსნა.

შესვენებამდე სტუმრებმა ორად ორი საგოლე მომენტი მიითვალეს, მაგრამ რეალიზება ვერ მოახერხეს. მეორე ტაიმის დასაწყისში ვოლგოგრადელებმა ესიპოვის საჯარიმო დარტყმით გაათანაბრეს. სპარტაკის უნგრელმა მეკარე, შაფარმა ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა.

ამ გოლიდან ხუთი წუთი იყო გასული, იური კოვტუნის ზედმეტ მონდომებას შაფარის მეორედ დამწუხრება რომ მოჰყვა.

კოვტუნმა ბურთიანად თითქმის მთელი მარცხენა ფლანგი გაირბინა, მეტოქის მცველთან წაუბრაზილიურა, მაგრამ ფინტი არ გამოუვიდა და საკუთარ ფეხებში აბლანდული დაეცა. როტორელმა სმირნოვმა უსწრაფესი კონტრიერიში წამოიწყო, ზუბკოსთან გაითამაშა და ვოლგისპირელები დააწინაურა.

ჩერნიშოვს დასცხა და გუნდი შეახურა. ჯერ კალინიჩენკომ გამოიყენა საჯარიმო დარტყმა და გაათანაბრა, მატჩის მიწურულს კი ყოფილმა როტორელმა პავლიუჩენკომ ძველ ნაცნობებს ყელში სამართებელი გამოუსვა, რადგან მესამე გოლით ვოლგოგრადელებს ქულა წაართვა.

სტუმართა მწვრთნელი ილშატ ფაიზულინი გაოგნებული იყო: „ჩვენ ალბათ ათი უნდა გავიტანოთ, რომ მოვიგოთ. როსტოვში, პირველ მატჩში სამი შევავდეთ, მაგრამ მაინც დავთმეთ, ახლა ვიგებდით და ისევ დავმარცხდით“.

მაჟა ხუციშვილი

ცსკა	20	12	5	3	38:23	41
ზენიტი	20	10	5	5	27:24	35
სატურნი	19	9	7	3	26:16	34
დინამო	19	9	6	4	32:19	33
ლოკომოტივი	21	9	5	7	32:27	32
რუბინი	19	8	7	4	26:16	31
შინიკი	19	7	9	3	26:16	30
კრილია	19	7	8	4	25:17	29
ტორპედო	20	7	6	7	25:24	27
სპარტაკი	20	7	4	9	29:34	25
როსტოვი	19	6	7	6	20:26	25
როტორი	20	5	4	11	24:31	19
ურალანი	19	4	7	8	12:24	19
ჩერნომორეცი	20	4	6	10	20:30	18
ალანია	19	4	1	14	11:33	13
ტ.მეტალურგი	19	2	5	12	12:25	11

პოლონეთი იწყებს... ეგრევე სკანდალით
ეგეთი ჩემპიონატი ვისლასაც წაუღია

გუშინ პოლონეთის ჩემპიონატი დაიწყო, ოღონდ... ასეთი რამ აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყანაში ადრე არასდროს მომხდარა: ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ სულ რამდენიმე დღის წინ გააძევა ლიგიდან „შჩაკოვიანკა“, რომელსაც ივნისში „ნოვი დვორთან“ პლეიოფი ჩაუწყვია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამას მოჰყვება და მოჰყვება.

ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ეუჯენიუშ კოლატორმა პოლონელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ამ სკანდალს, წესით, ხუთი-ექვსი ნოვიდვორელი ფეხბურთელის სამუდამო დისკვალიფიკაცია უნდა მოჰყვეს, ხოლო „შჩაკოვიანკადან“ ვინ მოიფიქრა ქრთამის გაღება და ვინ გაიღო (ლაპარაკია 200 ათას ზლოტზე ანუ 50 ათას დოლარზე), ეს ჯერ გამოსაძიებელია.

„აქ ორი გზაა. ერთი — ორივე მხარემ გამოძიებაში ხელი შეგვიშალოს და სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღონ და მეორე — ხელი შეგვიწყონ, რითაც სასჯელს შეიმსუბუქებენ“ — უთხრა ზემოხსენებულმა კოლატორმა GAZETA WYBORCZA-ს.

ახლა რაც შეეხება „თეთრ“ საფეხბურთო ეკონომიკას: პოლონეთის ძლიერ კლუბთა უმეტესობა იძულებული შეიქნა, ხარჯი შეემცირებინა და შესაბამისად, საუკეთესო ფეხბურთელები გაეყიდა.

ამბობენ, რომ ამ სეზონში ფავორიტები იქნებიან კრაკოვის „ვისლა“ (ახლანდელი ჩემპიონი), „გროსლინი“ და ვარშავის „ლეგია“, 2002 წლის ჩემპიონი. სხვათა შორის, „ვისლა“ ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევ ეტაპზე გამოდის, სადაც მომდევნო კვირაში ბელგიურ „ანდერლეხტს“ უნდა დაეჭიდოს. „ვისლაში“ პოლონელებთან ერთად უცხოელებიც თამაშობენ და, უნდა ითქვას, რომ კლუბმა მათი უმეტესობა შეინარჩუნა, თუმცა რამდენიმე ვარსკვლავი მაინც გაასხვისა. კერძოდ, კრაკოველებმა გერმანულ „კაიზერსლაუტერნს“ მიჰყიდეს კამილ კოსოვსკი, ხოლო ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ მარტინ კუჟბა. კიდევ, „ვისლას“ სურს თავისი დისკვალიფიცირებული ნიგერიელი, კალუ უჩე ამსტერდამის „აიაქსს“ მიჰყიდოს.

რაც შეეხება „ლეგიას“, ფინანსურმა კრიზისმა ვარშავის გუნდს გაყიდინა ყველაზე დიდხელფასიანი, ცეზარი კუჩარსკი (ბერძნულ „ირაკლისში“), თუმცა მას ჰყავს არგენტინელი ახალწვეული მანუელ გარსია, რომლისაც დიდად ეიმედება.

პაპუნა ძედია

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

ამხანაგური მატჩი

ატლეტიკო (ესპანეთი) 1:1 რომა (იტალია)

0:1 ტოტი (21), 1:1 ნიკოლაიდისი (49)

ატლეტიკო: ბურგოსი (ხუანმა 46), აგილერა (კონტრა 46; გარსია კალვო 74), სანტი, ლეკუი, სერხი, მოვილია (სიმეონე 46), ემერსონ მოიზესი, ორტისი, ხორხე (კოლსა 74), მუსამპა (ნიკოლაიდისი 46), ფერნანდო ტორესი

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

რომა: პელიცოლი (ძოტი 46), დელასი, სამუელი, კანდელა, დე როსი, გიგუ, დაკური, ტომაზი (კურჩი 46), ემერსონ ფერეირა, ტოტი, კასანო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

REUTERS მიხეილ ტერეშინიდან

ძველმა ნაცნობებმა, დიეგო სიმეონემ (მარცხნივ) და ანტონიო კასანომ ახლაც იჭიდავეს

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ბერნდ შუსტერი

ბუტე, ბუტე, გაგებუტე
ბურთიანად ზღაპარ იყო...

არა, მისი ოთხი შვილი დღეს სულ სხვა პირობებში ცხოვრობს. მათი ყოფა წარმოუდგენლად განსხვავდება იმისგან, რასაც აუგსბურგის შემოგარენის, მუშათა უბანში, ღარიბთა ოჯახში თავად გახლდათ შეგუებული. და, იცით, ის ძალიან ამაყობს სწორედ იმით, რომ შვილებს სხვა ცხოვრება დაუყენა, რაც გასაგებია, რადგან ჩვენი წერილის გმირი მეოჯახე კაცია, ცოლი სიყმაწვილეშივე შეირთო და ნიადაგ იმეორებდა ამ სიტყვებს: „მიყვარს შინ ჯდომა და ცქერა, როგორ იზრდებიან შვილები“.

როგორც ყველა ფეხბურთელი, ბერნდ შუსტერიც ფეხის ადგმასთან ერთად შეუდგა ბურთის გორებას, თუმცა ჰოკეის თამაშიც იმთავითვე უყვარდა. საბოლოოდ, მაინც ფეხბურთმა იმძლავრა და არც ამაშია რაიმე გასაკვირი, რადგან ჩვენ გერმანელ კაცზე ვლაპარაკობთ და არა კანადელზე ან რუსზე, ხოლო მოწესრიგებული და სერიოზული სახე მის გატაცებას 1973 წელს მიეცა: მწვრთნელი, ვარჯიშები, ბუცები, ფორმა... და 1977 წლიდან შუსტერის წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაში პროფესიული კარიერა დაიწყო.

„არ მინდა როგორც პიროვნება ვინმეს კერპი ვიყო. როგორც ფეხბურთელი, კი ბატონო“ — აი, ამასაც ხშირად ამბობდა ადამიანი, რომელმაც პროფესიონალი მოთამაშის 13 წელიწადი ესპანეთის და მის სამ უდიადეს კლუბს, „რეალს“, „ბარსელონასა“ და „ატლეტიკოს“ მიუძღვნა. მას არ სიამოვნებდა იმ ქომაგებთან ურთიერთობა, რომლებიც თავს ულტრას უწოდებდნენ და ყოველთვის გაურბოდა მათ, რადგან ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ხალხის მეხსიერებას შემორჩენოდა როგორც კარგი ფეხბურთელი და არაფერი, არაფერი, არაფერი მეტი.

„ვიცი, დიპლომატიური არ ვარ“

„ვიცი, ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ“

ესეც შუსტერის საყვარელი გამონათქვამებია და რაა გასაკვირი, ასეთი ადამიანი მუდამ პრობლემებში რომ ყოფილიყო გახვეული. კიდევ, ამბობენ მას ინტერვიუების მიცემა არ უყვარსო, მაგრამ 2000 წლის 6 აპრილს, თბილისში, ქართველ და გერმანელ ფეხბურთელთა ამხანაგურ შეხვედრაში თამაშის შემდეგ ჟურნალ „სარბიელს“ სიამოვნებით დაუჯდა და ესაუბრა.

კიდევ, ბერნდ შუსტერზე იმას ამბობენ, რომ თავისი ამა თუ იმ საქციელის გამართლებას ანუ თავის მართლებას არასდროს იწყებს. მას მაინცდამაინც არც ის ედარდება, რას ფიქრობს ხალხი. და ვფიქრობთ სწორედ ამის დასტურია 23 წლისა ნაკრებიდან ერთხელ და სამუდამოდ რომ წავიდა.

„ფეხბურთში ბევრი რამ ამიტანია, რადგან თავად ფეხბურთი არ არის ჩემი ცხოვრების მთავარი ობიექტი. ყველაფერზე ზევით ჩემი ოჯახია, ჩემი მეუღლისა და ბავშვების მხარდაჭერის გარეშე არასდროს არაფერი გამომსვლია“. — აი, ბერნდის ფილოსოფია.

ბერნდის ოცნება: „მინდა მეუღლესთან ერთად მთელი წელიწადი კრუიზში გავატარო და მსოფლიოს შემოვუარო, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ოთხ შვილს ვერ დავტოვებთ“.

ახლა კი, მოდით, შეძლებისდაგვარად დაწვრილებით შევჩერდეთ შუსტერისა და გერმანიის ნაკრების საგაზე, რადგან ეს ის თემაა, რომელმაც ამ ისედაც უნიჭიერეს ფეხბურთელს საზოგადოების დამატებითი ყურადღება მიაპყრო, თუმცა, ალბათ, ბევრი რამ წაართვა კიდეც.

თავიდან კი ყველაფერი ზღაპარავით დაიწყო: აუგსბურგელი 18 წლის ბიჭი დიდ ვარსკვლავობაზე ოცნებობდა, ხოლო 18 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი დიტრიხ უაიზე ჯერ აკვირდებოდა, შემდეგ ათამაშებდა კიდეც — 10 შეხვედრაში 2 გოლი. ამას მოჰყვა ერთი მატჩი 21 წლამდელთა ნაკრებში და... თუმცა, მოდით ვნახოთ, რა ხდებოდა გერმანულ ფეხბურთში 1979 წელს, ევროპის ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე.

ეს ის წელიწადია, როდესაც გფრ-ის ნაკრები კრიზისშია, რადგან ძველი ვარსკვლავები ევროპული ტიტულის მოსაგებად უკვე ძალიან მოხუცები არიან. ეს ის თაობაა, რომელმაც ევრო 1980-მდე ექვსი წლით ადრე მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა და მიდის, ახალ თაობას კი ჯერ არ გამოუჩენია თავი. მას ყოფილი ვარსკვლავი, იმხანად სკაუტად ახალდანიშნული ბერტი ფოგთსი და ნაკრების მწვრთნელი იუპ დერვალი ეძებენ. იმხანად დერვალის ასისტენტად ლოერი მუშაობდა რომელმაც ასეთი რამ თქვა: „შუსტერი ლიბეროდ ბეკენბაუერივით ივარგებს“.

საბოლოოდ, ტალანტების მაძიებლებმა შუსტერს და სხვა ახალგაზრდებს, ლოთარ მათეუსს, აიკე იმელს და სხვებს მიაგნეს, ხოლო ჩვენი წერილის გმირმა 1979 წლის მაისში დუბლინში პირველი დიდი სანაკრებო მატჩი ითამაშა.

და დადგა ევრო 1980, სადაც იუპ დერვალმა ბერნდ შუსტერიც იახლა, თუმცა ჩემპიონატის პირველ შეხვედრებში სათადარიგოთა სკამზე დასვა. მაგრამ ჰოლანდიელებთან დაპირისპირების წინ გერმანელებს აშკარად რაღაც მეტი სჭირდებოდათ — კულმანის თამაში საუკეთესო ვარიანტად არ ჩანდა და... დერვალმაც ბერნდს ანდო ძირითადი შემადგენლობა. შედეგად, შუსტერმა სამი გოლის ასისტენტობა გასწია, გერმანიამ ჰოლანდიას 3:2 მოუგო, ხოლო ევროპამ შუსტერი აღმოაჩინა.

შემდეგი შეხვედრა შუსტერს ისევ გამოატოვებინეს: გფრ — საბერძნეთი 0:0.

შუსტერი მოედანს ფინალში დაუბრუნდა: გფრ — ბელგია 2:1

მაშ ასე, კარლ-ჰაინც რუმენიგე დიდ ვარსკვლავად გამოჩნდა, ჰორსტ ჰრუბეში დიდ ვარსკვლავად გამოჩნდა, ბერნდ შუსტერი კი იმ წლის სენსაცია იყო: ელეგანტური, მძლავრი, ტექნიკური, ახალგაზრდა... ევროპელმა ჟურნალისტებმა ერთსულოვნად უწოდეს უძლიერესი.

შემდეგ „ბარსელონამ“ „კიოლნს“ სარეკორდო თანხა გადაუხადა და ვარსკვლავი გადაიბირა — შუსტერი ესპანეთში გადაბარგდა, ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ ემზადებოდა. თითქოს ყველა პირობა იქმნებოდა საიმისოდ, რომ ჩვენი წერილის გმირს საოცრება მოეხდინა, მაგრამ მოხდა სხვა რამ, ის, რასაც არავინ ელოდა — შუსტერს რუმენიგესა და ბრაიტნერთან გაუფუჭდა ურთიერთობა, დაიჩემა, რომ ეს წყვილი დიქტატორულად ერეოდა სანაკრებო საქმეებში.

დერვალს მაინც სურდა შუსტერის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა, ოღონდ გაირკვა, რომ მისი ეროვნულ გუნდთან თანაცხოვრება ყოვლად შეუძლებელი იყო. კერძოდ, შუსტერმა მუცლის დაავადების მოტივით უარი თქვა ნაკრების ერთ-ერთ შეხვედრაში მონაწილეობაზე, რითაც დერვალი გააცოფა, რადგან მწვრთნელი დარწმუნებული იყო, რომ ფეხბურთელს სინამდვილეში არაფერი სჭირდა.

გავიდა ხანი, რამდენიმე თვე, და დერვალმა აზრი შეიცვალა: UNICEF-ის ეგიდით „კამპ ნოუზე“ გამართულ რაღაც საქველმოქმედო შეხვედრაში შუსტერმა ნახევარდაცვაში საუცხოოდ ითამაშა. შემდეგ მოხდა ასეთი რამ — „ბარსელონას“ წინააღმდეგობის მიუხედავად ვარსკვლავმა ქუდი დაიხურა და ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგურ თამაშში მონაწილეობისთვის გაემგზავრა, სადაც გამოაცხადა, რომ მოედანზე ერთ ტაიმზე მეტს არ დაჰყოფდა („ბარსელონა“ მისი გამგზავრების წინააღმდეგი იმიტომ იყო, რომ ორ დღეში „რეალთან“ ელოდა ტრადიციულად პრინციპული შეხვედრა). ბრაზილიასთან თამაშის შემდეგ ბერნდი ფეხმძიმე მეუღლის თხოვნით ჰანსი მიულერის წვეულების ნაცვლად შინ გაემართა — დილით ადრე უნდა გაფრენილიყო — რამაც დერვალი ერთხელაც გაამძვინვარა და ცოლის გავლენასა და დიქტატურაზე რაღაც საშინელი სიტყვები ათქმევინა. პასუხად შუსტერმა ისევ შორს დაიჭირა თავი ნაკრებში თამაშისგან და მეგობრის, მეკარე ტონი შუმახერის სატელეფონო ზარებსაც კი არ უპასუხა.

ნეტავ, რა მოხდებოდა შემდეგ? ვინ იცის. ფაქტი კი ის არის, რომ შუსტერმა 1981 წლის დეკემბერში მძიმე ტრავმა მიიღო. ზემოხსენებულ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ექვსი თვე რჩებოდა.

ვარსკვლავმა საოპერაციოდ გერმანიის ერთ-ერთ უდიადეს ქირურგს, შნაიდერს მიაკითხა და ისევ გაუგონარი ამბავი შეემთხვა — ოპერაციამ არ გაამართლა. ჟურნალისტებმა ერთი ამბავი ატეხეს, ატყდა დოქტორისა და ვარსკვლავის ურთიერთბრალდებათა ომიც, რასაც ბერნდი და მისი ოჯახი იმ ტონი შუმახერის სახლში გაექცა, რომელსაც არცთუ დიდი ხნის წინ ტელეფონზე არ პასუხობდა.

განმეორებითი ოპერაცია ბარსელონელმა ქირურგმა, გონსალეს ადრიომ ჩაატარა და, როგორც იმხანად წერდნენ, შუსტერის ინვალიდობიდან ფეხბურთისთვის დაბრუნებას შეეცადა. შეეცადა და გაუმართლა, მიზანს მიაღწია, „ბარსელონას“ ვარსკვლავი დაუბრუნა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს კი კაცი, რომელზეც ნაკრების ფეხბურთელები ამბობდნენ, მას ჩვენი წაგება უხარიაო.

1982 წლის ოქტომბერში ტონი შუმახერმა ყველა ღონე იხმარა, რათა შუსტერი და დერვალი შეერიგებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მათი შერიგება ვერც გერმანიის საფეხბურთო კავშირის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნოიბერგერმა შეძლო.

შემდეგ კი... შემდეგ ბევრიც აღარ არის სალაპარაკო. ქომაგებს შუსტერი მხოლოდ გაჭირვებისას ახსენდებოდათ. ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, ფრანც ბეკენბაუერმა მას ჭირვეული უწოდა და მიუხედავად იმისა, რომ 1985 წელს „ოქროს ბურთის“ გამოკითხვაში მესამე ადგილზე გავიდა, 1986-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა. დრო კი გადიოდა.

იცვლებოდა თაობები, გერმანია თავის დიდ და ქერა ანგელოზისგან დამოუკიდებელ ისტორიას ქმნიდა!

პაპუნა ძიდია





ბერნდ შუსტერის თბილისური ფოტო „სარბიელთან“ ინტერვიუსას

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

ინგლისი
I დივიზიონი. I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.30	001	პრესტონი-ვესტ ჰემი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
19.00	002	ბრედფორდი-ნორვიჩი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	003	ბარნლი-კრისტალ პალასი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
19.00	004	დერბი-სტოკი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	005	იფსვიჩი-რედინგი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
19.00	006	მილუოლი-უიგანი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.00	007	როტერჰემი-კარდიფი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
19.00	008	შეფილდი-ჯილინგემი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
19.00	009	უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
19.00	010	უოტფორდი-ქოვენტრი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
19.00	011	უიმბლდონი-ქრიუ	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
21.35	012	ნოტინგემი-სანდერლენდი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6

ინგლისი. II დივიზიონი. I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	013	ბარნსლი-კოლჩესტერი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	014	ბრისტოლი-ნოტსი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	015	ლუტონი-რაშდენი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
19.00	016	ოლდემი-ბრაიტონი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
19.00	017	პიტერბრო-ჰარტლპული	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.00	018	პლიმუთი-გრიმსბი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
19.00	019	პორტ ვეილი-ბორნმუთი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
19.00	020	ქუინს პარკი-ბლეკპული	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
19.00	021	სუინდონი-უენსდი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
19.00	022	ტრანმერი-ბრენტფორდი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	023	რექსემი-ჩესტერფილდი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	024	უიკომბი-სტოკპორტი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54

ინგლისი. III დივიზიონი. I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	025	კარლაილი-იორკი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
19.00	026	ჰადერსფილდი-კემბრიჯი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	027	ჰალი-დარლინგტონი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
19.00	028	კიდერმინსტერი-მენსფილდი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
19.00	029	ლეიტონი-დონკასტერი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	030	ლინკოლნი-ოქსფორდი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	031	მაკლსფილდი-ბოსტონი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	032	ნორთჰემპტონი-ტორკი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	033	როჩდეილი-იოვილი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	034	სკანთორპი-როვერსი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	035	საუთენდი-ჩელტენემი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
19.00	036	სუონსი-ბერი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51

ინგლისი. კონფერენსი. I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	037	ბარნეტი-ტელფორდი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
19.00	038	ექსეტერი-ჰალიფაქსი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	039	ფორესტ გრინი-ნორთვიჩი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.00	040	გრეივსენდი-ბარტონი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	041	ლეი-დაგ ენდ რედი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
19.00	042	მორიკომბი-უოკინგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	043	სკარბორო-ფარნბორო	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	044	შრუსბერი-მარგეიტი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	045	სტივენეიჯი-ჩესტერი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	046	ტემუორთი-ჰერეფორდი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49

10 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	047	ალდერშოტი-აკრინგტონი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69

შოტლანდია. პრემიერლიგა
I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.30	050	დანფერმლაინი-სელტიკი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
16.30	051	რეინჯერსი-კილმარნოკი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	052	რეინჯერსი-კილმარნოკი 0:1	1,4	3,8	4,2			
19.00	053	დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00	054	ჰარტსი-აბერდინი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	055	მოზერუელი-დანდი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	056	პარტიკი-ლივინგსტონი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52

შოტლანდია. I დივიზიონი. I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	057	კლაიდი-ეარი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	058	რეითი-სტ.მირენი	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42
19.00	059	როსი-ბრეჩინი	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
19.00	060	სტ.ჯონსტონი-ქუინი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	061	სტ.ჯონსტონი-ქუინი 0:1	2,05	3,2	2,45			
19.00	062	ფოლკირკი-ინვერნესი	1,9	3,6	3,3	1,24	1,2	1,72

შოტლანდია. II დივიზიონი. I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	063	ალოა-დამბარტონი	1,9	3,6	3,3	1,24	1,2	1,72
19.00	064	არბროთი-ბერიკი	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
19.00	065	ისტ ფაიფი-სტენჰაუსმუირი	2,45	3,4	2,45	1,42	1,22	1,42
19.00	066	ჰამილტონი-ფორფარი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
19.00	067	მორტონი-ერდრი	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5

შოტლანდია. III დივიზიონი. I ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	069	ალბიონი-სტრანრარი	2,25	3,4	3,0	1,35	1,28	1,59
19.00	070	ელგინი-ისტ სტირლინგი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
19.00	071	გრეტნა-ქუინს პარკი	1,85	3,6	3,4	1,22	1,19	1,74
19.00	072	მონტროუზი-პიტერჰედი	3,1	3,4	2,1	1,62	1,25	1,29
19.00	073	სტირლინგი-კოუდენბითი	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5

გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.30	075	ჰანოვერი-ბაიერნი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
18.30	076	ფრაიბურგი-ჰანზა	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
18.30	077	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
18.30	078	კიოლნი-კაიზერსლაუტერნი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
18.30	079	მიუნხენი-შალკე	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
18.30	080	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.30	081	ბოხუმი-ჰამბურგი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43

10 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	082	შტუტგარტი-ჰერტა	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	083	აინტრახტი-ლევერკუზენი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37

გერმანია. II ბუნდესლიგა. II ტური
10 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	087	ობერჰაუზენი-ალენი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
18.00	088	უნიონი-კოტბუსი	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
18.00	089	უნტერჰახინგი-დუისბურგი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
18.00	090	ოსნაბრიუკი-კარლსრუე	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.00	091	ნიურნბერგი-ბურგჰაუზენი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19

11 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.15	092	ალემანია-მაინცი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). II ტური
9 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00	094	სტ.პაული-მიუნსტერი	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
17.00	095	ქემნიცი-კიოლნი(მ)	1,9	3,4	3,5	1,21	1,23	1,72
17.00	096	ესენი-ვერდერი(მ)	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
17.00	097	კილი-ნოიმიუნსტერი	1,65	3,5	4,6	1,12	1,21	1,98
17.00	098	ჰამბურგი(მ)-ურდინგენი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
17.00	099	ვუპერტალი-ბრაუნშვაიგი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
17.00	100	დინამო-ვატენშაიდი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
17.00	101	შალკე(მ)-დორტმუნდი(მ)	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
17.00	102	პადერბორნი-ლაიპციგი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია						
		რეგიონალლიგა (სამხრეთი). II ტური						
		9 აგვისტო						
17.30	108	ვეენი-კიცერსი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
17.30	109	მაინცი(მ)-კაისერსლაუტერნი(მ)	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
17.30	110	აუგსბურგი-ფოიხტი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	111	ზაარბრიუკენი-აალენი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
17.30	112	შტუტგარტი(მ)-ოფენბახი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		საფრანგეთი. I დივიზიონი. II ტური						
		9 აგვისტო						
20.15	115	ლილი-პსჟ	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42
23.00	116	ლიონი-მონაკო	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
23.00	117	ბასტია-მეცი	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03
23.00	118	ბორდო-მონპელიე	1,5	3,5	7,0	1,04	1,23	2,33
23.00	119	ლე მანი-აიაჩო	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	120	ნანტი-ლანსი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	121	ნიცა-სოშო	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	122	რენი-ტულუზი	1,85	3,1	4,2	1,15	1,28	1,78
23.00	123	სტრასბური-გენგამი	2,1	3,0	3,5	1,23	1,31	1,61
		საფრანგეთი. II დივიზიონი. II ტური						
		9 აგვისტო						
23.00	124	ნანსი-სტ.ეტიენი	2,1	2,8	3,8	1,19	1,35	1,61
23.00	125	რუანი-ლავალი	2,25	2,8	3,4	1,24	1,35	1,53
23.00	126	სედანი-ნიორი	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.00	127	ტრუა-ვერენობლი	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.00	128	ვალანსი-შატორუ	2,45	2,8	3,0	1,3	1,34	1,44
23.00	129	ამიენი-ანეე	1,65	3,1	6,0	1,07	1,29	2,04
23.00	130	ბესანსონი-ისტრი	2,05	2,9	3,8	1,2	1,33	1,64
23.00	131	კაენი-კლერმონი	1,65	3,1	6,0	1,07	1,29	2,04
23.00	132	კრეტეი-გენიონი	2,2	2,8	3,5	1,23	1,35	1,55
		10 აგვისტო						
21.00	133	ლორიანი-ლე ავრი	2,15	2,9	3,5	1,23	1,33	1,58
		ბელგია. I დივიზიონი. I ტური						
		9 აგვისტო						
23.00	137	შარლეროა-ლიერსი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
23.00	138	ბეერსხოტი-მონსი	1,8	3,5	3,6	1,18	1,19	1,77
23.00	139	ლოკერენი-სტ.ტრუიდენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
23.00	140	ანდერლეხტი-ანტვერპენი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	141	ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1	1,65	3,3	3,3			
23.00	142	ვესტერლო-ლუკეე	1,8	3,5	3,6	1,18	1,19	1,77
		10 აგვისტო						
18.00	143	ჰეუსდენი-სერკლი	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
18.00	144	ბევერენი-ვენტი	2,3	3,5	2,6	1,38	1,22	1,49
23.00	145	მუსკრონი-სტანდარდი	2,5	3,4	2,4	1,44	1,22	1,4
		ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური						
		9 აგვისტო						
22.30	150	პაშინგი-ზალცბურგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		შვეიცარია						
		სუპერლიგა. V ტური						
		9 აგვისტო						
22.30	159	სტ.გალენი-თუნი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
22.30	160	იანგ ბოისი-ვილი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
22.30	161	ბასელი-აარაუ	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	162	ბასელი-აარაუ 0:1	1,75	3,2	3,0			
		დანია. სუპერლიგა. III ტური						
		9 აგვისტო						
20.00	172	ესბიერგი-კოპენჰაგენი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
		10 აგვისტო						
18.00	173	ოლბორგი-ფრემი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	174	ოლბორგი-ფრემი 0:1	2,05	3,2	2,45			
18.00	175	ნორდსიელანდი-ოდენსე	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
18.00	176	პერფიოლგე-ვიბორგი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
18.00	177	მიდტიუელანდი-აალბორგი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
20.35	178	ბრონდბიუ-ორჰუსი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	179	ბრონდბიუ-ორჰუსი 0:1	1,95	3,2	2,6			
		დანია. I დივიზიონი. II ტური						
		9 აგვისტო						
18.00	180	ბ 1913-სიონლდი	3,0	3,5	2,1	1,61	1,23	1,31
18.00	181	ნორდიუელანდი-სილკებორგი	4,0	3,8	1,7	1,94	1,19	1,17
18.00	182	ბრონსპიონ-იოლსტედ	2,9	3,5	2,15	1,58	1,23	1,33
		10 აგვისტო						
16.00	183	რანდერსი-კიოგე	2,9	3,5	2,15	1,58	1,23	1,33
16.00	184	ფრემადი-ფკ ორჰუსი	2,5	3,5	2,35	1,45	1,21	1,4
16.00	185	ბ 93-ჰორსენსი	2,4	3,5	2,45	1,42	1,21	1,44
18.00	186	ნიკობინგი-სიონდერიუელანდი	2,8	3,5	2,2	1,55	1,23	1,35
18.00	187	ვეილე-ფრედერისია	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
		შვედეთი. ალსვენსკა. XVII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	190	იურგორდენი-ენჩიოპინგი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	191	იურგორდენი-ენჩიოპინგი 0:1	1,65	3,3	3,3			
		10 აგვისტო						
20.00	192	ჰალმსტადი-აიკ	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
20.00	193	იორგრიტე-მალმიო	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		11 აგვისტო						
22.00	194	ელფსბორგი-იორებრო	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
22.00	195	იოსტერი-ლანდსკრონა	3,0	3,3	2,2	1,57	1,26	1,32
		შვედეთი. სუპერეტა. XVIII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	196	ბრომაპოიკარნა-ბოდენსი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
19.00	197	ფორვარდი-გეფლე	2,5	3,4	2,4	1,44	1,22	1,4
19.00	198	ფრიოლუნდა-ფალკენბერგი	1,5	4,0	5,6	1,09	1,18	2,33
		10 აგვისტო						
21.00	199	ოპერა-ატვიდაბერგი	1,75	3,5	4,0	1,16	1,21	1,86
21.00	200	იფკ მალმიო-ჰეკენი	3,2	3,5	2,0	1,67	1,23	1,27
21.00	201	ნორჩიოპინგი-ვესტეროსი	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
21.00	202	კალმარი-სილვია	1,3	4,8	8,0	1,02	1,11	3
	203	კალმარი-სილვია 0:1	1,75	3,2	3,0			
21.00	204	ტრელებორგი-ასირიანსკა	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		ნორვეგია. ტიპელიგა. XVI ტური						
		10 აგვისტო						
21.00	205	სტაბეკი-ლილესტრიომი	2,0	3,4	3,3	1,25	1,24	1,67
21.00	206	ბრანი-ალესუნდი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
21.00	207	ტრომსიო-სოგნდალი	2,4	3,5	2,45	1,42	1,21	1,44
21.00	208	ბრინი-ოდ ვრენლანდი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
21.00	209	რუსენბორგი-ლინი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	210	რუსენბორგი-ლინი 0:1	1,65	3,3	3,3			
23.05	211	ვოლერენგა-ვიკინგი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
		11 აგვისტო						
22.00	212	მოლდე-ბოდიო გლიმტი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
		ნორვეგია. I დივიზიონი. XVIII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	214	ჰამარი-სანდეფიორდი	1,8	3,6	3,5	1,19	1,18	1,77
		10 აგვისტო						
19.00	215	სკეიდი-ალტა	1,45	4,2	6,0	1,07	1,16	2,47
	216	სკეიდი-ალტა 0:1	2,05	3,2	2,45			
21.00	217	ჰიონეფოსი-მანდალი	1,7	3,8	4,0	1,17	1,19	1,94
21.00	218	მოსი-ბერგენი	1,7	3,8	4,0	1,17	1,19	1,94
21.00	219	იორნი-ოსლო იოსტი	2,0	3,6	3,1	1,28	1,21	1,66
21.00	220	ჰიოდი-რაკფოსი	2,45	3,6	2,35	1,45	1,19	1,42
21.00	221	სტარტი-სტრიომსგოდსეტი	1,9	3,8	3,2	1,26	1,19	1,73
21.00	222	ჰაუგესუნდი-ფრედერიკსტადი	2,2	3,6	2,7	1,36	1,21	1,54
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XIII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	226	ვესტმანაეიარი-გრინდავიკი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		10 აგვისტო						
23.00	227	აკრანესი-ფრამი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.00	228	ჰაფნარფიორდური-ფილკირი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
23.00	229	რეიკიავიკი-აკურეირი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
		11 აგვისტო						
01.00	230	თროტური-ვალური	1,9	3,1	3,6	1,17	1,24	1,66
		ირლანდია. პრემიერლიგა. XVII ტური						
		9 აგვისტო						
21.00	236	ლროგედა-ბოჰემიანსი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
23.30	237	ლონგფორდი-უოტერფორდი	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
		თურქეთი. სუპერლიგა. I ტური						
		9 აგვისტო						
21.00	240	კონია-ტრაბზონი	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
21.00	241	ვენჩლერბირლიგი-ელაზიგი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	242	ვენჩლერბირლიგი-ელაზიგი 0:1	1,75	3,2	3,0			
21.00	243	გალათასარაი-დიარბაქირი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	244	გალათასარაი-დიარბაქირი 0:1	1,5	3,6	3,6			
21.00	245	ბურსა-გაზიანთეფი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
		10 აგვისტო						
19.00	246	სებათი-დენიზლი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
21.00	247	ადანა-მალათია	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
21.00	248	რიზე-ანკარაგიუჯუ	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
21.00	249	ფენერბაჩე-ისთანბული	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	250	ფენერბაჩე-ისთანბული 0:1	1,75	3,2	3,0			
		რუსეთი. პრემიერლიგა. XX ტური						
		9 აგვისტო						
16.00	256	ცსკა-ალანია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	257	ცსკა-ალანია 0:1	1,65	3,3	3,3			
16.00	258	კრილია-მეტალური	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	259	კრილია-მეტალური 0:1	1,65	3,3	3,3			
16.00	260	შინიკი-ურალანი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
16.00	261	სატურნი-როსტოვი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	262	სატურნი-როტორი 0:1	2,05	3,2	2,45			
16.00	263	რუბინი-დინამო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55

			1	X	2	1-X	1-2	X-2

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. III ტური

9 აგვისტო

17.25	264	პრუიბრამი-სპარტა	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
20.15	266	ოპავა-იაბლონეცი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
20.15	268	სინოტი-ბანიკი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
20.15	269	ლიბერეცი-პლზენი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	270	ლიბერეცი-პლზენი 0:1	1,75	3,2	3,0			
22.35	271	სლავია-ზლინი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	272	სლავია-ზლინი 0:1	1,75	3,2	3,0			

10 აგვისტო

20.00	273	ჟიჟკოვი-ბლშანი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	274	ჟიჟკოვი-ბლშანი 0:1	1,75	3,2	3,0			
20.15	267	ბუდეიოვიცე-ბრნო	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41

11 აგვისტო

19.40	265	სიგმა-ტეპლიცე	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

სლოვაკეთი

I ლიგა. IV ტური

9 აგვისტო

20.00	275	პეხოვი-ტრენჩინი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
20.00	276	ლუბნიცა-ტრნავა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
20.00	277	ბ.ბისტრიცა-პეტრჟალკა	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
21.00	278	სლოვანი-რუჟომბეროკი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.00	279	ჟილინა-ინტერი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19

ხორვატია.

III ტური

9 აგვისტო

20.30	293	ზაგრები-კამენი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
20.30	294	მარსონია-ზადარი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
20.30	295	სლავენი-ციბალია	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.00	296	ოსიეკი-ვარტექსი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46

10 აგვისტო

23.15	297	რიეკა-დინამო	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15

პოლონეთი

I ლიგა. I ტური

9 აგვისტო

20.00	308	პოლკოვიცე-ვისლა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
20.30	309	ლეგნა-პლოცკი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
22.00	311	აშეკა-პოლონია	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
22.00	312	ლეხი-გურნიკი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67

10 აგვისტო

20.30	313	ოდრა-ლეგია	2,8	3,1	2,4	1,47	1,29	1,35

უნგრეთი. NB1. III ტური

9 აგვისტო

21.00	316	უიპეშტი-ზალაეგერსეგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
21.00	317	ბეკეშაბა-ფერენცვარიში	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
23.00	318	მტკ-პეჩი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.00	319	ვიდეოტონი-ეტო	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.00	320	დებრეცენი-სობრონი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32

არგენტინა

აპერტურა. II ტური

9 აგვისტო

23.00	351	ლანუსი-კოლონი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
02.15	352	ნიუელზი-ინდეპენდიენტე	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
05.10	353	რასინგი-სან ლორენსო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
23.30	354	ატლეტიკო-არსენალი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49

10 აგვისტო

23.30	355	ჩაკარიტა-ხიმნასია	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.30	356	ტალიერესი-ოლიმპო	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.30	357	ნუევა ჩიკაგო-კილმესი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
00.05	358	ბოკა ხუნიორსი-როსარიო	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
02.10	359	ესტუდიანტესი-რიკერ პლეიტი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3

			1	X	2	1-X	1-2	X-2

ურუგვაი

კლაუსურა. IV ტური

10 აგვისტო

23.30	363	ლივერპული-დანუბიო	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.30	364	ხუვენტუდი-სერო	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
23.30	365	ბელა ვისტა-ვილა ესპანიოლა	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
23.30	366	ფენიქსი-რივერ პლეიტი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	367	ფენიქსი-რივერ პლეიტი 0:1	2,05	3,2	2,45			
23.30	368	მირამარი-მალდონადო	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.30	369	ეონდერერსი-პენიაროლი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.30	370	ნასიონალი-პლასა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	371	ნასიონალი-პლასა 0:1	1,65	3,3	3,3			
23.30	372	კოლონია-დეფენსორი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
23.30	373	ტაკუარემბო-სენტრალი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57

ჩილე

კლაუსურა. III ტური

9 აგვისტო

24.00	376	რეინჯერსი-ეონდერერსი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
00.30	377	პალესტინო-ეაჩიპატო	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
01.00	378	აუდაქსი-სან ფელიპე	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
03.05	379	უნ.ჩილე-პუერტო მონტი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
04.00	380	კოკიმბო-კობრელოა	3,1	3,3	2,15	1,59	1,26	1,3

10 აგვისტო

00.30	381	კონსეპსიონი-ტეშეკო	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
01.00	382	უნ.კატოლიკა-კოლო კოლო	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52

მექსიკა. აპერტურა. II ტური

9 აგვისტო

01.00	387	ხაგუარეხი-ტოლუკა	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
02.00	388	ტეკოსი-ირაპუატო	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
03.05	389	მორელია-კერეტარო	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
05.00	390	სან ლუისი-პუებლა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
06.45	391	ატლასი-პუმასი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19

10 აგვისტო

22.00	392	ატლანტე-ჩივასი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.00	393	პაჩუკა-ტიგრესი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
02.00	394	სანტოსი-ნეკახა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
02.00	395	ამერიკა-კრუს ასული	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46

აშშ. MLS. XVII ტური

9 აგვისტო

01.00	400	ჩიკაგო-ნიუ იორკი	2,15	3,0	3,4	1,25	1,31	1,59
04.30	401	ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი	2,3	2,9	3,2	1,28	1,33	1,52
06.00	402	კოლორადო-დალასი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
07.00	403	ლოს ანჯელესი-კოლამბუსი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73

ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში).

10 აგვისტო

18.00	404	არსენალი-მანჩესტერი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37

პორტუგალია. სუპერთასი (გიმარაეშში)

10 აგვისტო

24.00	405	პორტე-ლეირია	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75

ჰოლანდია. სუპერთასი (ამსტერდამში)

10 აგვისტო

21.00	406	პსვ-უტრეხტი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47

ამხანაგური მატჩები

9 აგვისტო

18.00	450	პორტსმუთი-ფეიენოორდი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	451	ბირმინგემი-მალიორკა	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	452	ლიეერპული-ვალენსია	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.45	453	ლიდსი-ასტონ ვილა	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
24.00	454	საუთჰემპტონი-პარმა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		9 აგვისტო						
18.30	2001	პანოვერი-ბაიერნი	4,6	2,2	2,2	1,48	1,48	1,4
18.30	2002	ფრაიბურგი-პაუნა	2,4	2,1	4,2	1,12	1,52	1,4
18.30	2003	ვერდერი-მიონხენგლადბახი	2,0	2,2	5,6	1,04	1,47	1,57
18.30	2004	კიოლნი-კაიზერსლაუტერნი	2,8	2,1	3,4	1,19	1,53	1,29
18.30	2005	მიუნხენი-შალკე	2,9	2,1	3,3	1,21	1,54	1,28
18.30	2006	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,85	2,25	6,5	1,01	1,44	1,67
18.30	2007	ბოხუმი-ჰამბურგი	3,0	2,1	3,2	1,23	1,54	1,26
		10 აგვისტო						
20.30	2008	შტუტგარტი-ჰერტა	2,3	2,1	4,6	1,09	1,53	1,44
20.30	2009	აინტრახტი-ლეეერკუზენი	3,3	2,1	2,9	1,28	1,54	1,21
18.00	2010	არსენალი-მანჩესტერი	3,3	2,1	2,9	1,28	1,54	1,21

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი		არა
		9 აგვისტო			
18.30	2301	პანოვერი-ბაიერნი	1,65		1,95
18.30	2302	ფრაიბურგი-პაუნა	1,65		1,95
18.30	2303	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1,7		1,9
18.30	2304	კიოლნი-კაიზერსლაუტერნი	1,7		1,9
18.30	2305	მიუნხენი-შალკე	1,65		1,95
18.30	2306	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,7		1,9
18.30	2307	ბოხუმი-ჰამბურგი	1,65		1,95
		10 აგვისტო			
20.30	2308	შტუტგარტი-ჰერტა	1,7		1,9
20.30	2309	აინტრახტი-ლეეერკუზენი	1,65		1,95
18.00	2310	არსენალი-მანჩესტერი	1,65		1,95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წილი დაგებულად ჩაითვლება)

		9 აგვისტო			
18.30	2401	პანოვერი-ბაიერნი	2,5		1,55
18.30	2402	ფრაიბურგი-პაუნა	1,7		2,2
18.30	2403	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1,45		2,8
18.30	2404	კიოლნი-კაიზერსლაუტერნი	1,8		2,0
18.30	2405	მიუნხენი-შალკე	1,85		1,95
18.30	2406	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,4		3,0
18.30	2407	ბოხუმი-ჰამბურგი	1,9		1,9
		10 აგვისტო			
20.30	2408	შტუტგარტი-ჰერტა	1,65		2,3
20.30	2409	აინტრახტი-ლეეერკუზენი	1,95		1,85
18.00	2410	არსენალი-მანჩესტერი	2,0		1,8

რომელ ტაიმში ბავს მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		9 აგვისტო			
18.30	2501	პანოვერი-ბაიერნი	3,0	2,8	2,0
18.30	2502	ფრაიბურგი-პაუნა	3,0	2,8	2,0
18.30	2503	ვერდერი-მიონხენგლადბახი	3,0	2,8	2,0
18.30	2504	კიოლნი-კაიზერსლაუტერნი	3,0	2,8	2,0
18.30	2505	მიუნხენი-შალკე	3,0	2,8	2,0
18.30	2506	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	3,0	2,8	2,0
18.30	2507	ბოხუმი-ჰამბურგი	3,0	2,8	2,0
		10 აგვისტო			
20.30	2508	შტუტგარტი-ჰერტა	3,0	2,8	2,0
20.30	2509	აინტრახტი-ლეეერკუზენი	3,0	2,8	2,0
18.00	2510	არსენალი-მანჩესტერი	3,0	2,8	2,0

რამდენი გოლი ბავს მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		9 აგვისტო			
18.30	2201	პანოვერი-ბაიერნი	2,0		1,6
18.30	2202	ფრაიბურგი-პაუნა	1,95		1,65
18.30	2203	ვერდერი-მიონხენგლადბახი	2,0		1,6
18.30	2204	კიოლნი-კაიზერსლაუტერნი	1,95		1,65
18.30	2205	მიუნხენი-შალკე	1,95		1,65
18.30	2206	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,95		1,65
18.30	2207	ბოხუმი-ჰამბურგი	1,95		1,65
		10 აგვისტო			
20.30	2208	შტუტგარტი-ჰერტა	1,95		1,65
20.30	2209	აინტრახტი-ლეეერკუზენი	2,0		1,6
18.00	2210	არსენალი-მანჩესტერი	1,9		1,7

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		9 აგვისტო									
18.30	2101	პანოვერი-ბაიერნი	6,0	10,0	20,0	10,0	4,8	3,6	20,0	10,0	2,6
18.30	2102	ფრაიბურგი-პაუნა	3,0	10,0	20,0	4,0	4,6	7,5	20,0	10,0	6,5
18.30	2103	ვერდერი-მ.გლადბახი	2,2	12,0	25,0	3,4	5,0	10,0	20,0	10,0	8,0
18.30	2104	კიოლნი-კ.ლაუტერნი	3,5	10,0	20,0	4,4	4,6	5,0	20,0	10,0	4,2
18.30	2105	მიუნხენი-შალკე	3,5	10,0	20,0	4,6	4,6	5,0	20,0	10,0	4,0
18.30	2106	დორტმ.-ვოლფსბურგი	2,0	12,0	25,0	3,4	4,8	10,0	20,0	10,0	10,0
18.30	2107	ბოხუმი-ჰამბურგი	3,6	10,0	20,0	4,6	4,6	4,8	20,0	10,0	3,8
		10 აგვისტო									
20.30	2108	შტუტგარტი-ჰერტა	2,8	10,0	20,0	3,8	4,6	6,5	20,0	10,0	5,6
20.30	2109	აინტრახტი-ლეეერკ.	4,0	10,0	20,0	5,0	4,6	4,6	20,0	10,0	3,6
18.00	2110	არსენალი-მანჩესტერი	4,2	10,0	20,0	5,0	4,6	4,6	20,0	10,0	3,5

უფრთოდ შორს ვინ გაფრენილა

წყალში ხტომას წყალში ნუ გადავაგდებთ



ბოლო ორ, ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს 36-36 სპორტსმენის მონაწილეობა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელობა იყო, რაკილა იმ წლებში მათ, რბილად რომ ვთქვათ, ნორმალური ვარჯიშისა და შეჯიბრებებში, სრულფასოვანი მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდათ. მაშინ ყველაზე დიდი სიურპრიზი მაინც ჩვენი წყალში მხტომელების მიერ ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება იყო. ბარსელონის თამაშებამდე ეს საკვირველი სულაც არ იყო, მაგრამ იქიდან მოყოლებული ჩვენს წყალში მხტომელებს სათანადოდ აღჭურვილი, თბილისში, ვაკეში მდებარე ერთადერთი ზამთრის აუზი გამოაკლდათ და ისინიც უწყლოდ დარჩნენ, მერე კი მართლაც წყალში გადასახტომად გაუხდათ საქმე. მათი მდგომარეობა დიდად არც სიდნეის თამაშების მერე შეცვლილა.

ერთი სიტყვით, ძალზე საეჭვოა, რომ საათენოდ ჩვენი წყალში მხტომელების ჯოჯამ წყალი ისევ მოიტანოს. არადა, ამ სახეობაში ბოლო წლებში კვლავ გამოჩდნენ პერსპექტიული მოზარდები, რომლებიც ნორჩთა შორის საერთაშორისო ტურნირებზე მედალს მედალზე იმსახურებენ, მაგრამ ნორმალური ტრამპლინ-ყოშკურებით აღჭურვილი ზამთრის აუზის უქონლობის გამო ფრთებს უფრო ლაღად ვეღარ შლიან.

ახლა, როცა ათენის ოლიმპიური თამაშები გვიახლოვდება, უპრიანი იქნება საქართველოში წყალში ხტომის განვითარების ისტორიის, მათი ოდინდელი წარმატებების გახსენება, რათა იქნებ ამან ვინმე დააფიქროს ამ სახეობის წარმომადგენელთა დღევანდელი საკალიალო პირობების გამოსასწორებლად.

საქართველოში წყალში მხტომელთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება 1928 წელს გაიმართა ბათუმში. მაშინ ბათუმმა წყალჯომარდობის დღესასწაულს უმასპინძლა და ამ სახეობის წარმომადგენლები პირდაპირ ზღვაში ხტებოდნენ. თუმცა, ამ სახეობის პიონერებს წყალში მხტომელები პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ისინი უბრალოდ ცურვის მოყვარულები იყვნენ, რომლებსაც წყალში ხტომა სხვებზე მეტად ეხერხებოდათ. ამასთან, იმ დროს არც აუზები იყო და ამიტომ ეს სახეობა თავდაპირველად ზღვაზე ვითარდებოდა, თუკი საერთოდ განვითარება შეიძლება ეწოდოს გასართობად და გასაჯანსაღებლად სანაპიროებზე პრიმიტიულად ნაგები კოშკებიდან ხტუნაობას.

ლიანა ცოტაძე

სერგო შალიბაშვილი

საქართველოში წყალში ხტომის განვითარება სერიოზულად 1956 წელს დაიწყო, როცა თბილისში, ვაკის ზამთრის საცურაო აუზი აშენდა თავისი ტრამპლინებით და კოშკებით. წყალში მხტომელებისთვის ეს აუზი მრავალი წლის განმავლობაში ერთადერთი იყო მთელს საქართველოში, სადაც წლის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ვარჯიში. მეტიც, ეს ბაზა ერთადერთი იყო, სადაც ზამთარ-ზაფხულ ვარჯიში ნორმალურ პირობებში ხერხდებოდა. ასე გაგრძელდა 1992 წლამდე, მანამ აუზი მუშაობდა.

საქართველოს წყალში მხტომელთაგან პირველ დიდ წარმატებებს თბილისელმა ბორის პოლულიახმა მიაღწია, რომელიც დიდხანს ეულად ეწეოდა ამ სახეობის ჭაპანს. მან პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია 1960 წელს მოსკოვში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში, სადაც ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში III ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი ოდესაში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა. მას მერე ბორის პოლულიახი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში კიდევ ოთხჯერ გახდა ჩემპიონი, 1968 წელს კი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაშიც იზეიმა ამგვარი წარმატება. ამას გარდა ბორის პოლულიახმა საკავშირო ჩემპიონატებში სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ბორის პოლულიახი იყო საქართველოს პირველი წყალში მხტომელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატში თავი გამოიჩინა. ეს მოხდა 1962 წელს ლაიპციგში, სადაც პოლულიახმა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბორის პოლულიახი საქართველოს წყალში მხტომელებისგან იმითაც იყო გამორჩეული, რომ იგი მათ შორის პირველი ოლიმპიელი აღმოჩნდა. მაშინ, 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ბორის პოლულიახმა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში VI ადგილი დაიკავა.

ლიანა ცოტაძე საქართველოს წყალში მხტომელთაგან პირველია, რომელმაც ოლიმპიური თამაშების მედალი მოიპოვა. ეს მოხდა 1980 წელს მოსკოვში, სადაც ცოტაძემ 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ბრინჯაო დაისაკუთრა. ამას გარდა, ცოტაძე ჩვენი წყალში მხტომელი ქალებიდან პირველია, ვინც სსრ კავშირის ჩემპიონატში და ხალხთა სპარტაკიადაზე წარმატებით ასპარეზა. მაშინ, 1979 წელს მან 10-მეტრიანი კოშკიდან ოქროს მედლები მოიპოვა და მომდევნო წელსაც საკავშირო ჩემპიონი გახდა.

ცოტაძე, თბილისელ სერგო შალიბაშვილთან ერთად, იყო საქართველოს პირველი წყალში მხტომელი, ვინც 1978 წელს სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა. ერთმაც და მეორემაც ამ წარმატებას 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მიაღწიეს.

ცოტაძემ იგივე შედეგს მიაღწია 1982 წელსაც, ხოლო შალიბაშვილმა საკავშირო თასის მოგება კიდევ ორჯერ, 1979-80 წლებში შესძლო.

სერგო შალიბაშვილი იყო პირველი ქართველი წყალში მხტომელი, რომელმაც ევროპის ... ...

ᲐᲜᲓᲔ, ᲕᲘᲜᲪ ᲠᲝ ᲛᲐᲒᲐᲗ ᲔᲜᲓᲝ!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲯᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ

ᲯᲘᲣᲓᲝᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ �გᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲐ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲘ ᲘᲥ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲘᲧᲝ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲛᲐ ᲐᲧᲘᲝᲢᲐᲟᲛᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲚᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗ-ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ ᲓᲐᲯᲓᲔᲑᲐ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲘᲗ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ, ᲘᲡᲔᲗᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲓᲐᲰᲙᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲕᲘᲓᲔᲡ...

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲓ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲝᲛᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲠᲘᲡ ᲮᲐᲑᲔᲚᲝᲕᲘ ᲯᲔᲠ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲘᲮᲛᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲐᲜᲪᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲐᲒ ᲖᲐᲒᲜᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔᲛ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲘᲮᲛᲝ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲗᲣᲠᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲪ ᲛᲘᲡᲪᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲡᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲛᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲤᲐᲜᲗᲐ ᲔᲭᲕᲘ.

— დაპირება, იცოცხლეთ, კარგად იცით, თქვენ შესრულება თქვით. იაპონიაში გამგზავრება 64 ათასი ლარი ჯდება. 1 სექტემბერს მოსკოვის გავლით ტოკიოში მივფრინავთ, იქიდან კი ოსაკაში უნდა ჩავიდეთ... მოკლედ რომ ვთქვათ, მგზავრობის, სასტუმროსა და საწევრო გადასახადის ფული 15 აგვისტომდე უნდა გადავრიცხოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვიუქმდება თვითმფრინავის წინასწარ დაჯავშნული შედარებით იაფფასიანი ბილეთები, ხოლო იაპონიაში ჩასვლისას ჯარიმა უნდა გადავიხადოთ, რაც გვიან გადავრიცხავთ ფულს, მით მეტი იქნება მისი პროცენტი.

— საწვრთნელი შეკრებების ფული თუ მოგცეს?

— თურქეთის საერთაშორისო ტურნირზეც და ბაკურიანის შეკრებაზეც ნასესხები ფულით წავედით. კვირიდან ბორჯომში გვაქვს დაგეგმილი ბოლო შეკრება. რომ იტყვიან, ფული გზაში უნდა დაგვაწიონ. მოკლედ, ვალები რომ გავისტუმროთ და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შეკრება ხეირიანად ჩავატაროთ, საიაპონიო თანხის გარდა კიდევ 36 ათასი ლარი გვჭირდება.

— მსოფლიოს ჩემპიონატი 11 სექტემბერს იწყება, ასე ადრიანად რომ მიფრინავთ, განა ეს ზედმეტ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული?

— შორი გზა გვაქვს გასავლელი. მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ბიჭებმა ენერგია ხომ უნდა აღიდგინონ. აკლიმატიზაციის საკითხი თავისთავად იგულისხმება. ის მამაცხონებული იაპონელები საუცხოო ვარჯიშის საშუალებას გვაძლევენ და რატომ არ უნდა ვისარგებლოთ. ათამდე ქვეყანა მაინც ვიცი, ჩვენსავით ადრიანად რომ მიფრინავენ იაპონიაში.

— მათთან სპარინგ-შეხვედრების გამართვასაც ხომ არ აპირებთ?

— გამოცდილებით ვიცი, რომ ამის გაკეთება არ ღირს, გაუთვალისწინებელ ტრავმებსაც უნდა მოვერიდოთ, ოსაკაში ლიცენზიებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდება.

— შეგნებულად არ გეკითხებით დაგეგმილი მედლების რაოდენობაზე...

ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲔᲜᲓᲝᲑᲐ

ᲐᲠᲐᲢᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ᲮᲝᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ? ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲔᲜ, ᲐᲛᲐᲨᲘ ᲔᲭᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐ, ᲛᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲖᲔ ᲘᲧᲜᲐᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ: ᲬᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐ, ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ, ᲘᲚᲑᲐᲚᲘ, ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲐ... ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲔᲡ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲗ.

— ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ?

— იაპონიაში წამსვლელთა ვინაობა, კარგა ხანია, გადაწყვეტილია. ნესტორ ხერგიანმა (60კგ), დავით მარგოშვილმა (66კგ), ზურაბ ზვიადაურმა (90კგ) და რამაზ ჩოჩიშვილმა (აბსოლუტური) ნაკრებში ადგილები უკვე დაიბევეს. დანარჩენ წონებში კონკურენტები თურქეთში გამოვცადეთ. გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) დავით ნადარაიაზე უკეთესად გამოვიდა. იგივე ჯიქურაულმა აჯობა გიორგი გუგავას. მძიმე წონაში ზვიად ხანჯალიაშვილი ბევრად უკეთეს ფორმაშია ვიდრე ალექსი დავითაშვილი, თანაც ახალგაზრდაა.

— თქვენს ჩამონათვალში გიორგი რევაზიშვილი არ ჩანს...

გიორგი რევაზიშვილმა 73კგ წონით კატეგორიაში აინაცვლა, მაგრამ არც თურქეთში წამოსულა საერთაშორისო ტურნირზე და არც ბაკურიანში გამოჩენილა შეკრებაზე. ჩემთან საერთოდ არ მოსულა, საქმის კურსში არ ჩავუყენებივარ... იქნებ სულაც თავს ანებებს ძიუდოს... ამ წონაში იაპონიაში დავით ქევხიშვილს წავიყვანთ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ

ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚ ᲗᲔᲛᲣᲠᲛᲐ ᲒᲘᲐᲣᲠᲘ ᲐᲝᲢᲜᲐ

ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲛᲐ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ ᲕᲘᲨᲕᲐᲜᲐᲗᲐᲜ ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲩᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲜᲓᲝᲣᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲒᲘᲗ ᲐᲘᲬᲧᲘᲢᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲔᲗᲐ — ᲑᲝᲚᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲐᲡᲙᲣᲞᲓᲐ.

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲮᲔᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲘᲡ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲧᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ, ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲝᲠᲔᲚ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲛᲐ ᲐᲜᲐᲜᲓᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲰᲘᲜᲓᲣᲡᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲗ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ.

ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡᲗᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲘᲢᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲧᲘᲡᲕᲔ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲰᲧᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ, ᲐᲛ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲨᲘ ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲨᲔᲢᲔᲥᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲠᲘᲜᲐ. ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ ᲚᲐᲛᲝᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲚᲐᲛᲝᲑᲓᲐ. ᲐᲚᲛᲐᲛᲤᲠᲔᲜ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲣᲥᲛᲜᲘᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲚᲡ.

22-Ე ᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠᲐᲒᲣᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲩᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲢᲚᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲡ ᲔᲡ ᲫᲕᲔᲜᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲙᲛᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲣᲤᲔᲨᲥᲐᲨ! ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲩᲐᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲓᲝᲣᲡᲘ ᲢᲔᲥᲕᲐᲪ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲔᲓᲠᲝᲑᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲜᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ. ᲙᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ. ᲠᲝᲛ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲤᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲒᲕᲐᲬᲘᲝᲜ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲡᲢᲣᲛᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ, ᲡᲐᲘᲐᲞᲝᲜᲘᲝ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲯᲘᲓᲔᲕ 36 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.



ᲕᲘᲨᲕᲐᲜᲐᲗᲐᲜ ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲠᲘᲧᲕᲐ ᲕᲘᲝᲠᲔᲚ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘ

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲮᲔᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲘᲡ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲧᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ. ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲝᲠᲔᲚ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲛᲐ ᲐᲜᲐᲜᲓᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲰᲘᲜᲓᲣᲡᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲗ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ.

ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡᲗᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲘᲢᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲧᲘᲡᲕᲔ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲰᲧᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ, ᲐᲛ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲨᲘ ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲨᲔᲢᲔᲥᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲠᲘᲜᲐ. ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ ᲚᲐᲛᲝᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲚᲐᲛᲝᲑᲓᲐ. ᲐᲚᲛᲐᲛᲤᲠᲔᲜ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲣᲥᲛᲜᲘᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲚᲡ.

22-Ე ᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲐᲜᲐᲜᲓᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠᲐᲒᲣᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲩᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲢᲚᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲡ ᲔᲡ ᲫᲕᲔᲜᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲙᲛᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲣᲤᲔᲨᲥᲐᲨ! ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲩᲐᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲓᲝᲣᲡᲘ ᲡᲠᲣᲚ ᲭᲙᲣᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ, ᲐᲛ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲔᲑᲡ ᲢᲧᲣᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲓᲘᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲡ ᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ. ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲒᲕᲘᲐᲜᲐ. ᲝᲠᲘᲝᲓ ᲡᲕᲚᲐᲨᲘ ᲘᲜᲓᲝᲣᲡᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲗ ᲯᲕᲠ g7-ᲖᲔ მდგარი ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲐᲐᲪᲐᲚᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲘᲛᲣᲭᲠᲐ. ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲔᲣᲚᲐᲓ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲛᲐ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲤᲚᲐᲜᲒᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲐᲪ ᲛᲘᲐᲨᲕᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲭᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲢᲚᲨᲘ ᲒᲐᲔᲪᲕᲐᲚᲐ. ᲐᲛ ᲡᲕᲚᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ ᲐᲜᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲣᲠᲛᲘ ᲓᲐ 36-Ე ᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲣᲘᲚᲐᲯᲝᲓ ᲐᲡᲬᲘᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲐᲚᲐᲛᲘ.

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲧᲐᲘᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲣᲜᲒᲠᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲢᲔᲠ ᲚᲔᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲠᲐᲯᲐᲑᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲮᲕᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓᲐᲪ ᲬᲐᲠᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲠᲐᲯᲐᲑᲝᲕᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔ�გᲔᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲨᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲨᲔᲐᲒᲑᲐ. ᲚᲔᲙᲝᲡ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲐᲗ ᲠᲐᲯᲐᲑᲝᲕᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲨᲔᲭᲠᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲯᲔᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ, ᲠᲐᲯᲐᲑᲝᲕᲘ ᲞᲐᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲨᲔᲪᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ. ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲚᲔᲙᲝᲛ ᲡᲪᲐᲓᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲢᲚᲘᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲮᲝᲪᲕᲐ-ᲟᲚᲔᲢᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚ ᲚᲔᲙᲝᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ.

47-Ე ᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ ᲣᲜᲒᲠᲔᲚᲛᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲞᲐᲘᲙᲘ, ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘ �გᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ ᲛᲔᲤᲘᲗᲣᲠᲗ. ᲠᲐᲯᲐᲑᲝᲕᲡ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲤᲘ�გᲣᲠᲐ ᲨᲔᲠᲩᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲐᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘ

ფერერომ ფერი და სკამი დაკარგა

TENNIS MASTERS CANADA
ტორონტო, მაგარსაფარი
საპრიზო 2,45 მილიონი $

მესამე წრე

ანდრე აგასი (1, აშშ) — **სიმონ ლაროსი** (კანადა) 6:4, 6:2; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) 6:3, 7:5; **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — **ტომი რობრედო** (16, ესპანეთი) 6:4, 6:3; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — **სებასტიან გროჯანი** (9, საფრანგეთი) 6:3, 6:3; **რაინერ შუტლერი** (8, გერმანია) — **ირჟი ნოვაკი** (10, ჩეხეთი) 7:5, 6:0; **მარს მირნი** (ბელარუსი) — **პარადორნ შრიჩაფანი** (11, ტაილანდი) 6:3, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — **ვინსენტ სპადია** (აშშ) 6:4, 6:2; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) 6:4, 7:6 (7:3)

დღის უმთავრეს მოულოდნელობად მსოფლიო რეიტინგსიის 41-ეადგილოსანი სლოვაკის კაროლ კუჩერას მიერ როლან გაროსის წლევანდელი გამარჯვებულისა და ჩემპიონთა რბოლის აქამდელი ლიდერის ხუან კარლოს ფერეროს ძლევა იქცა.

ფერერო, ვინაც საფრანგეთის ღია პირველობაზე წარმატების შემდეგ უმთავრეს მიზნებად ამქარში გაპირველებასა და ჩრდილოამერიკულ მაგარსაფარზე ღირსეულად გამოსვლას ისახავდა, კუჩერას წინააღმდეგ ძალზედ ვაგლახი სანახავი იყო. მატჩის მსვლელობისას მან 19 უნებლიე შეცდომა დაუშვა. როგორც მერე აღიარა, ასე უბადრუკად ცხოვრებაში მხოლოდ რამდენჯერმე გარჯილა.

რაკიღა ფერეროს პარალელურად მოსარჯე როჯერ ფედერერმა თავის წილ



ხუან კარლოს ფერერომ ჩემპიონთა რბოლაში პირველი ადგილი დაკარგა

პრობლემას, რაიც ესპანელი ტომი რობრედოს სახით გამოიხატებოდა, დამაჯერებლად მოუარა, ჩემპიონთა რბოლის საიმკვირაო სიაში ის კვლავ პირველ ადგილზე დადგება.

ზორბა ალპელი სეზონის მეექვსე ტიტულისთვის შრომობს და ზაფხულში გამართული 19 მატჩიდან უკვე მე-18-ში იმარჯვა. ამ წარმატებულ სერიაზე მოდის ჰალეური და უიმბლდონური ტიტულები, ერთადერთი საზაფხულო მარცხი კი გსტაადურ თიხნარფინალში ირჟი ნოვაკისგან უწვნევია.

სხვაფრივ — კვლავ დამაჯერებლად და ნატიფად იბურთავა დიადმა არმენიამერიკელმა ანდრე აგასიმ. 33 წლის ჯადოქარმა ამ ჯერზე კანადელი სიმონ ლაროსი, პირველ წრეში გუსტავო კუერტენის მაოტარი მოდრიკა.

მსოფლიო რეიტინგსიის ოდენ 314-ე ადგილზე მდგომმა ლაროსმა მატჩი ერთობ აგრესიულად დაიწყო და მალე 4:1 დაწინაურდა. თუმცა ეგ იყო და ეგ — ანდრანიკი ახლა საზეო ფორმაშია და მშობლიური სლემტურნირის დაწყებამდე სამი კვირით ადრე ეგრე ბითურად წამოქცევას არ აპირებს.

„ჰო, ახლა მართლაც კაცურ ფორმაში ვარ — ამბობდა ის ნამატჩევს — ჩემი თამაშის ყველა ასპექტი მაკმაყოფილებს."

შეგახსენებთ, რომ კანადის სამგზის პირველოსანი აგასი ტურნირზე მეთორმეტედ გამოდის და ამ თორმეტი გამოსვლიდან 9-ჯერ სულ მცირე მეოთხედფინალისთვის მაინც მიუღწევია.

რაც შეეხება მის საამსეზონო დინამიკას, სურათი ამგვარია: წელი მან ფანტასტიკურად დაიწყო და პირველ ხუთ ტურნირზე ერთი მარცხის წილ 23 მატჩის მოგებით ოთხი ტიტული მოინაგრა. მას შემდეგ მისი ტემპი ოდნავ შენელდა და 15 გამარჯვების სანაცვლოდ ჯამში ხუთჯერ დასცეს.

მეოთხედფინალში აგასი გერმანელ შუტლერს შეხვდება, კაცს, ვისაც წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი მოუგო...

თავის თავით კმაყოფილების საბაბი კი იმ დღეს მისი თაობის მთავარმემკვიდრეს, ჭაბუკ ენდი როდიკსაც ჰქონდა. 20 წლის ტეხასელმა ბოიმ გამოცდილსა და გონიერ ფრანგს, მის მიერ ქუინზკლაბური ტურნირის ფინალში ძლეულსა და მასსავით უიმბლდონის ნახევარფინალისტ სებასტიან გროჯანს აჯობა.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

მარია შარაპოვას ცოდვა კიმ კლაისტერსმა დაიდო

მუცელამ რძემარწყვა გადაყლაპა

JP MORGAN CHASE OPEN
ლოს-ანჯელესი, მაგარსაფარი
საპრიზო 635 ათასი $

მესამე წრე

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — **მარია შარაპოვა** (რუსეთი) 6:4, 1:6, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — **პაოლა სუარესი** (არგენტინა) 4:6, 6:2, 6:4; **აი სუგიამა** (4, იაპონია) — **ვიკტორია კუტუზოვა** (უკრაინა) 6:2, 6:3; **მაგდალენა მალეევა** (6, ბულგარეთი) — **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) 6:0, 6:3; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — **კონჩიტა მარტინესი** (7, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:4; **ამანდა კუცერი** (8, სამხრეთ აფრიკა) — **მეგან შონესი** (10, აშშ) 7:6 (7:5), 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — **სილვია ფარინა ელია** (111, იტალია) 6:7 (4:7), 6:4, 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე** (16, იტალია) — **რიტა გრანდე** (იტალია) 6:3, 6:0

მესამე წრემდე მიტანებულ სლავ გოგოშკებს — 16 წლის რძემარწყვა რუს შარაპოვასა და ორ კვირაში გასა-15-წლისებელ ვიკა კუტუზოვას იმ დღეს „ცუდად მოეპყრნენ". პირველი ტურნირის მთავარგანთესილმა კიმ კლაისტერსმა აოტა, მეორე კი — კიმის თანამეწყვილე აი სუგიამამ.

ოღონდ — თუკი კუტუზოვა კარის გაუჯახუნებლად გაუშვეს, შარაპოვამ მსოფლიო რეიტინგსიის ამჟამინდელ მეორეადგილოსანსა და იმ კვირიდან ალბათ თვით სერენა უილიამსის ტახტზე ამცოცებელ კლაისტერს ერთი სეტი მაინც გააგდებინა.

„ეს ხელი მან მართლაც ზღაპრულად ითამაშა — იძახდა მერე ბუოქუნა ბელგოგო — ის არაჩვეულებრივი, საოცარი მოთამაშეა. ძალიან მაგარი და დახვეწილი დარტყმები აქვს... მისგან ძალიან ბევრს უნდა ველოდოთ."

მომავალ შეხვედრას წლის მეექვსე ტიტულისთვის მორუდუნე კიმი კვლავ რუსთან და ისევ ნინველასთან გამართავს. 18 წლის სვეტლანა კუზნეცოვამ ტურნირის ფავორიტთან შეხლის უფლება მე-11 ნომრად განთესილი ფარინა ელიას ძლევით მოიპოვა.

იმ დღეს კიდევ ორი განთესილი გავარდა. მათ შორის — ტურნირის 1995 წლის ჩემპიონი კონჩიტა მარტინესიც, ვისაც ავსტრალიელი კვალიფიკანტი ნიკოლ პრატი მოერია.

ძალზედ ურიგოდ ითამაშა და გაბუნძულებას მხოლოდ ბარაქიანი მოწოდების ხარჯზე გადაურჩა ტურნირის სამგზის პირველოსანი ლინდსი დევენპორტი. მეტოქის 29-ის წილ მან 46 უნებლიე შეცდომა დაუშვა და, თუ მომავალ წრეში გასვლა შეძლო, ეგ მხოლოდ იმის გამო, რომ გადამწყვეტ მომენტებში აუღებელ მოწოდებებს აყუმბარებდა.

თავისი ცუდი გარჯა მან ნამატჩევს ქარსა და ოკრობოკრო საფარს დააბრალა — აქაოდა, ბურთები ამძუენელი ვასაკებივით დახტოდნენო.

კარლო გოგოლი

სამი ერი 2003

რაგბი ადათმბის თამაშია ჩხუბის მერე ვიქეიფოთ

დანიდინი, 9 აგვისტო
ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა

დღეს, სამი ერის ბოლოსწინა ტურში ახალი ზელანდია სამხრეთ აფრიკას მასპინძლობს და თუ მეტოქეს მოერია — და უცილობლად მოერევა — სამი ერის ჩემპიონობას გაინაღდებს

ახალზელანდიელები დარწმუნებულები არიან თავიანთ სიძლიერეში და აფრიკელთა ძლევას თითქმის სათადარიგო შემადგენლობით აპირებენ. „ოლ ბლექსის" ხოტორა მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა საბრძოლო რაზმში ხუთი ისეთი მორაგბე გამოიძახა, რომლებსაც აქამდე ნაკრებში თამაშის მიზერული შანსი ჰქონდათ.

დიდ გულზეა „შავების" ხარეთ ძლიერი კაპიტანი რუბენ თორნიც: „დარწმუნებული ვარ, რომ ნამატჩევს საჩემპიონო შამპანურით ეწუწაებთ და იქითა კვირას ავსტრალიელებს სამი ერის გამარჯვებულებად დავუხვდებით. ჩხუბი ერთადერთია, რაშიც შეიძლება აფრიკელებმა წინააღმდეგობა გაგვიწიონ, თუმც აქაც ჩვენ ვიქნებით გამარჯვებულები."

თორნს ჩხუბი ტყუილად არ უხსენებია. აფრიკელებმა ხომ შარიანი ხალხის სახელი განიმტკიცეს. კერძოდ, ბაკის ბოთას და რობი კემპსონს გასულ ტურში ავსტრალიასთან ზედმეტიც მოუვიდათ — პირველმა ერთ-ერთ მეტოქეს ლამის თვალი ამოთხარა, ხოლო მეორემ „ვოლაბთა" ვიცე-კაპიტან ტოუტაი კეფუს ხერხემალი დაუზიანა.

გვარიანი ჩხუბის მოლოდინშია ახალზელანდიური სარაგბო ჟურნალის რედაქტორი დეივ კემპბელი, თუმც თანამემამულე მორაგბეებისგან შედარებით მოკრძალებულ კომენტარს აკეთებს: „აფრიკელებმა ჩხუბიც იციან და ბრძოლაც. უხეშები რომ არიან, ეს ერთხელაც დამტკიცდა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ რუდი სტრაულიმ მარტო მოჩხუბარი გუნდი კი არ შეკრა, არამედ მათ აზროვნებაც ასწავლა. ერთი სიტყვით, „ქურციკები" უტვინოები და დეგენერატები არ გეგონოთ!"

რაც შეეხებათ სამხრეთაფრიკელებს, ისინი კბილებს ილესავენ და წყვილში ფავორიტად სამართლიანად შერაცხულ ახალზელანდიელებს ომს უცხადებენ. სხვაც რა დარჩენიათ, მობეზრდათ სამ ერში მესამედ ყოფნა.

რუდი სტრაულის ცნობილი მიზეზის გამო არ ეყოლება მზაკვარი

რუბენ თორნი აფრიკელებს გადათელვით ემუქრება

მოჩხუბრები — რაგბის 8-კვირით მოკვეთილი ბაკის ბოთა და 4 კვირით დისკვალიფიცირებული რობი კემპსონი. სამაგიეროდ, სტრაულიმ საომრად დაუძახა თავის ძმაკაცსა და 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონ იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენს, რომელიც ჯეელობაში ფრიადზე იდგა მე-9 ნომრად და 1995 წლის მსოფლიოს თასის ფინალში პირველმა შებოჭა ახალზელანდიელი მთაკაცი ჯონა ლომუ.

ამ ჯერზე მაორებს ლომუ ვერაფრით მიეშველება, მაგრამ „შავები" უმისოდაც ქარბორბალას დაატეხავენ გადათეთრებულ აფრიკელებს.

ბაჩო სვანიძე

სატურნირო ვითარება

ახ.ზელანდია	2	2	0	0	+65 10
ავსტრალია	3	1	0	2	-13 5
ს. აფრიკა	3	1	0	2	-52 4

4 ლელოს გამტან და 7 ან ნაკლები ქულით წამგებ გუნდს ენიჭება 1 პრემიალური ქულა

სალამი იანკებს

„იანკი სთედიუმზე“ დიდი ბეისბოლია: „იანკები“ ტეხასელ რეინჯერებს ხვდებიან. მოედნის კიდეზე კი დგას სერ პოლ მაკარტნი, ვინც ხალხს უფრო ესალმება, ვიდრე თამაშს უყურებს. მარჯვნივ, ბადის კუთხეში კი მაკარტნის ცოლი ჰეთერი ზის.

REUTERS



REUTERS

გველნავები

ამ უქმეებზე ვემბანადის ტბაზე, ინდურ ქალაქ ალეპეის ახლო რომ ძევს კერალას შტატში, გველნავების რეგატა გაიმართება. ეს ნაღდი ინდური სპორტია: გველნავა გრძელი და ვიწრო მცურავია, რომელშიაც ასი მენიჩბე ეტევა და შეჯიბრიც ძალიან საცქერია ხოლმე, თუმცა, ვარჯიშიც წარიტაცებს ხოლმე თვალს.

ტრაგედია სან ხოსეში

REUTERS

სან ხოსეში ტრაგედია ტრიალებს. პოლიციამ იპოვნა ივნისის დასაწყისში გამქრალი ყრმა კალათბურთელის, პატრიკ დენეჰის გვამი. სპორტსმენის მკვლელობაში ეჭვმიტანილია მისი ყოფილი თანაგუნდელი, რომელიც დაპატიმრებულია. ბეილორის უნივერსიტეტის მთელმა გუნდმა დაიტირა საბრალო დენეჰი. ფოტოზე აღბეჭდილია, როგორ ეთხოვება დაღუპულის ფერფლით სავსე ურნას მისი ყოფილი მწვრთნელი ტომას კრამი.

აი, ვარჯიში

ეს თავგანწირვით მოდგაფუნენი ბურგ-სენტ მორისის ახლო ჩამომდინარ მთის მდინარეში მამაცი ტურისტები და ექსტრიმის მოყვარულნი ნუ გეგონებიან. ესენი გახლავან ფაბიენ პელუსი (წინ) და სერჟ ბეტსენი, და ასევე სხვებიც, საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრების მოთამაშენი. ფრანგები მოახლოებული მსოფლიო თასისთვის ემზადებიან.



REUTERS



REUTERS

დედაქალაქის თავზე

ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიის ცაში გახურებულა ცათმფრენ ლივლივათა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიაც 60 ჩიტობის მოყვარული მონაწილეობს. ლივლივები დალივლივებენ განთქმული ეროვნული ტაძრის თავზე. ეს ტაძარი, ისევე როგორც სხვა მრავალი შენობა დედაქალაქში, აგებულია დიდი არქიტექტორის, ოსკარ ნიმეიერის პროექტით და განასახიერებს ქრისტეს ღვთიურ გვირგვინს. ბრაზილიელ მოლივლივეთა ჩემპიონატს შესარჩევი ტურნირის აზრიც აქვს, იმ კვირაში ამვე ცაში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე კობა ინასარიძე მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbiell.com.ge